პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბ. საოლქო კომიტეტების და სრულიად საქართველოს ცაკის ორგანო

ხუთშაბათი, 28 აგვისტო 1930 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 200 (2848)

დღიური

- სამხედრო გადატრიალება პერუში.
- ინდოეთში გრძელდება გლეხობის აჯანყებები.
- საფრანგეთის მთავრობის რეპრესიები.
- ბერლინის მთავრობის პროტესტი პოლონეთს.

მთელი ძალები კურის დამზადებას

[illegible]

ინდოეთში გრძელდება გლეხობის აჯანყებები

ჩინეთის წითელმა არმიამ დაამარცხა ნანკინის ჯარი და აიღო ქ. ლიჟანი

ამერიკული გაზეთი იუწყება პოლონეთის მიერ ლიტვის ოკუპაციის შესაძლებლობის შესახებ

მდგომარეობა ინდოეთში

ლონდონი, 27 აგვისტო. [illegible]

პოლონეთის ახალი მთავრობა

ვარშავა, 27 აგვისტო. [illegible]

ჩინეთის წითელი არმიის გამარჯვება

შანხაი, 27 აგვისტო. [illegible]

სამხედრო გადატრიალება პერუში

ნიუ-იორკი, 27 აგვისტო. [illegible]

საფრანგეთის მთავრობის რეპრესიები

კომპარტიის მოღვაწეთა წინააღმდეგ

პარიზი, 27 აგვისტო. [illegible]

საარჩევნო კამპანია გერმანიაში

ბერლინი, 27 აგვისტო. [illegible]

ბერლინის მთავრობის პროტესტი პოლონეთს

ბერლინი, 27 აგვისტო. [illegible]

საკონტრ. კომისია-მუშკლებინი — რაიონებში

[illegible]

საერთაშორისო კოოპერაციული კონგრესი

ვენა, 27 აგვისტო. [illegible]

პოლონეთი გადაყლაპავს უპირველს ლიტვას

რიგა, 27 აგვისტო. [illegible]

სოფლის საჭარმოო ამხანაგობის ახალი წესდება

კავშირთა-კავშირის პრეზიდიუმის დადგენილება

მოსკოვი, 27 აგვისტო. [illegible]

I. მიზნები და ამოცანები

[illegible]

II. ამხანაგობის წევრები და მათი ვალდებულებანი

[illegible]

III. ამხანაგობის საშუალებანი

[illegible]

IV. ამხანაგობის საქმეების მართვა

[illegible]

V. შემოსავლის განაწილება

[illegible]

პროფკავშირების როლი სოფლის სოციალისტურ რეკონსტრუქციაში

[illegible]

პურის დამზადების მორიგი ამოცანები

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს რეზოლიუცია პურის დამზადების მსვლელობის შესახებ. 1930 წ. აგვისტოს 26

1. ძირითადი გეგმის მიხედვით პურის დამზადების შედარებით დამაკმაყოფილებელ მსვლელობასთან ერთად (წლიური გეგმის თანახმად ნავარაუდევია 1.000.000 ფუთი პურის დამზადება, 20 აგვისტოსათვის დამზადებული იყო 286.000 ფ.) აღინიშნოს რომ მეტად სუსტი ტემპით სწარმოებს პურის ჩაბარება დასაზღვევ ფონდში, სათესლე სესხის, სამინდე და სათესლე მასალის ფონდებში.

2. პურის დამზადების გეგმის შესრულებაში ყველაზე უფრო სუსტ რაიონებად ჩაითვალოს გორის, კასპის და გარე-კახეთის რაიონები.

3. აღინიშნოს, რომ მიუხედავად მთელ რიგ სახელმძღვანელო დირექტივებისა პურის დამზადების განხორციელების წესის შესახებ, ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობაში დღემდე არ მომხდარა შესაფერი გარდატეხა პურის დამზადების ტემპის გასაძლიერებლად. ამასთან აღინიშნოს, რომ მთელ რიგ ორგანიზაციებში დღემდე ადგილი აქვს პარტიის ხაზის გადამახინჯების ფაქტებს და მემარჯვენე გადახრის ყოვლად დაუშვებელ პრაქტიკას, რომლის კონკრეტულ გამოხატულებას წარმოადგენს:

ა) ბევრი რაიონისა და სოფლის საბჭოს მიერ პარტიის იმ დირექტივების შეუსრულებლობა დღემდე, რომლებიც ეხება კულაკურ მეურნეობებამდე გეგმის მიყვანას;

ბ) სისუსტის გამოჩენა იმ კულაკურ მეურნეობათა მიმართ, რომლებიც არ აბარებენ პურს დაწესებულ ნორმის ფარგლებში;

გ) მასიური პოლიტიკურ-ახსნა-განმარტებითი მუშაობის გაუჩაღებლობა სოფლად და როგორც ამის შედეგი— სრულიად არასაკმაო ბრძოლა თვითმდინარების განწყობილებასთან;

დ) მეტად სუსტი მუშაობა ღარიბი და საშუალო გლეხობის მასების ჩასაბმელად პურის დამზადებაში;

ე) სრულიად არასაკმაო მუშაობა მოჯამაგირეების, ღარიბი გლეხობის და კოლმეურნეების დასარაზმავად პურის დამზადების საქმისათვის ხელის შეწყობის მიზნით.

ვ) მეტ წილ რაიონებისა და სოფლის საბჭოების მიერ დირექტივების შეუსრულებლობა პურის დამზადების ხელის შემწყობ კომისიების მოწყობის შესახებ და ამ კომისიების მუშაობის სისუსტე იქ, სადაც ისინი გამოყოფილია;

ზ) სრულიად არასაკმაო ბრძოლა პურის გადამყიდველებთან და სპეკულიანტებთან, რომლებიც ბოროტი განზრახვით აღიდებენ პურის ფასებს და დეზორგანიზაციას ახდენენ პურის დამზადების ბაზარზე.

4. ამასთან აღინიშნოს, როგორც სრულიად დაუშვებელი მოვლენა, პურის დამზადების სათანადო აღრიცხვის უქონლობა პურის მიღების წყაროების მიხედვით.

5. ზემოაღნიშნულ მომენტების გამო, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა რაიკომებს, რაიკომების მდივნების პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ:

ა) დაუყოვნებლივ მოახდინონ გადამწყვეტი გარდატეხა პურის დამზადების საქმეში და გადაჭრით აღმოფხვრან უმოკლეს ვადაში პარტიის ხაზის გადამახინჯების ზემოაღნიშნული დაუშვებელი მოვლენები.

ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ პარტიულ კომიტეტების მუშაობის შეფასება უწინარეს ყოვლისა მოხდება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად წარმატებით შესრულდა პურის დამზადების გეგმა პარტიის იმ დირექტივებთან სასტიკად შეფარდებით, რომლებიც ეხება პურის დამზადების კამპანიის ჩატარების წესს.

ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს და პარტიული ორგანიზაციების ყურადღება მიაპყრას იმ გარემოებაზე, რომ პურის დამზადების გეგმის შესრულება უნდა მიმდინარეობდეს კულაკურ ელემენტებზე შემდგომი გადამწყვეტი შეტევის, ღარიბი გლეხობის და მოჯამაგირეების ჯგუფების მუშაობის განმტკიცების და განვითარების, პურის დამზადებისათვის ხელის შეწყობის საქმეში ღარიბი და საშუალო გლეხობის მასების აქტივიზაციის და არსებულ კოლმეურნეობების სამეურნეო განმტკიცების საფუძველზე.

ამასთან ცენტრალური კომიტეტი კატეგორიულად აფრთხილებს პარტიულ ორგანიზაციებს საშუალო გლეხის წინააღმდეგ რაიმე გადახვევების, ღარიბი და საშუალო გლეხების მეურნეობამდე გეგმების მიუყვანლობის და ღარიბი და საშუალო გლეხების მეურნეობების მიმართ უხეში ადმინისტრატიული ზომების მიღების დაუშვებლობის შესახებ და წინადადებას აძლევს პარტიულ ორგანიზაციებს გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოონ ასეთი გადახვევების ცდების წინააღმდეგ.

ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს როგორც ყოვლად დაუშვებელ მოვლენას, პარტიისა და კომკავშირის ზოგიერთი წევრების მხრივ ზედმეტი პურის ჩაბარებაზე უარის თქმის შემთხვევებს და წინადადებას იძლევა დაუყოვნებლივ იქნან გამორიცხული პარტიიდან და კომკავშირიდან ის პირები, რომლებიც პურს არ ჩააბარებენ. გამორიცხულთა სია სადეკადო ვადაში წარედგინოს ცენტრალურ კომიტეტს. მომავალში ამ პირების გარდა, რომლებიც პურს არ აბარებენ, პარტიიდან და კომკავშირიდან გამოირიცხოს აგრეთვე ისინიც, რომლებიც პურის დამზადების კამპანიის პრაქტიკაში ამახინჯებენ პარტიის დირექტივებს პურის დამზადების წესის შესახებ.

გ) ერთი კვირის ვადაში დამთავრდეს მუშაობა გეგმების მისაყვანად სოფლებამდე (პურის დამამზადებელ რაიონებში), კოლმეურნეობამდე და, განსაკუთრებით, კულაკურ მეურნეობებამდე, და ამ მუშაობის შედეგები საგანგებო წერილით ეცნობოს ცენტრალურ კომიტეტს არა უგვიანეს 30 აგვისტოსა. ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია ერთხელ კიდევ აღნიშნოს, რომ ამ დირექტივების შეუსრულებლობას იგი განიხილავს როგორც პარტიის ხაზიდან გადახვევას, ხოლო კულაკურ მეურნეობებისადმი სისუსტის გამოჩენა—როგორც მემარჯვენე გადახრის მკაფიო გამოაშკარავებას პრაქტიკაში და როგორც კულაკებისათვის პირდაპირ დახმარების გაწევას—აქედან გამომდინარე ყველა დასკვნებით.

დ) ერთი კვირის ვადაში წარედგინოს ცენტრალურ კომიტეტს ცნობები პურის დამზადებაზე 25 აგვისტოსათვის პურის მიღების წყაროების (კოლმეურნეობები, სამანქანო-სატრაქტორო სადგურები, კონტრაქტანტები, ინდივიდუალური მეურნეობანი, კულაკები და სხვ.) აღნიშვნით და დამზადების გეგმასთან შეფარდებით. მომავალში ანალოგიური ცნობები წარედგინოს ცენტრალურ კომიტეტს ხუთდღიურების მიხედვით.

ე) დაუყოვნებლივ დაიწყოს კოლმეურნეობებთან, ჯგუფურ გაერთიანებებთან და ინდივიდუალურ მეურნეობებთან დადებულ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების შესრულების შემოწმება და მიღებულ იქნას ზომები ამ ხელშეკრულებების ზუსტად და თავის დროზე შესრულებისათვის. იმ მეურნეობების მიმართ, რომლებიც ბოროტი განზრახვით არ ასრულებენ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებს, გამოყენებულ იქნას ზეგავლენის ზომები, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულებებში.

ვ) მიღებულ იქნას ზომები იმისათვის, რომ, შეძლების დაგვარად, ინდივიდუალურ მეურნეობების მიერ პურის ჩაბარების ნორმები არ იქნეს უფრო დაბალი, ვიდრე კოლმეურნეობების შესაფერ რაიონებში.

ზ) ადმინისტრატიული ზომების გამოყენების და ღარიბ-საშუალო გლეხების ინდივიდუალურ მეურნეობამდე გეგმის მიუყვანლობის დაუშვებლობასთან ერთად, ინდივიდუალურ მეურნეობების მიმართ დასახულ გეგმის შესრულების მიზნით გაჩაღდეს სოფლად საზოგადოებრივი მასიური მუშაობა ხელშეკრულებისათვის პურის მიყიდვის შესახებ გადაწყვეტილებების გატარებით სას. ყრილობებზე და ჯგუფურ კრებებზე, რისთვისაც გამოყენებულ იქნას ცალკე მეურნეობების თვითვალდებულებების პრაქტიკა სოფლის საზოგადოებრიობის წინაშე შესაფერი რაოდენობის პურის ჩაბარებაზე, რაც უზრუნველყოფს სოფლის გეგმის შესრულებას.

თ) გაჩაღდეს გადამწყვეტი ბრძოლა პურის გადამყიდველების და სპეკულიანტების წინააღმდეგ და დაპატიმრებულ იქნენ ის პირები, რომლებიც აღიდებენ პურის ფასებს და პურის დამზადების ბაზრის დეზორგანიზაციას ახდენენ.

ი) ზემოაღნიშნული ღონისძიებები საერთოდ გატარდეს პურის დამზადების ხელის შემწყობ კომისიების საშუალებით, განსაკუთრებით სოფლად, გაძლიერდეს ამ კომისიების მუშაობა და მიმაგრებულ ამხანაგების საშუალებით მუდმივი ხელმძღვანელობა გაეწიოს მათ მუშაობას.

ყველა რაიკომებმა არა უგვიანეს 1-ლი სექტემბრისა აცნობონ ცენტრალურ კომიტეტს პურის დამზადების სარაიონო და სასოფლო ხელის შემწყობ კომისიების თავმჯდომარეების გვარები.

6) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ მიმდინარე წლის პურის დამზადების გამოცდილების მიხედვით, საქართველოში პურის დამზადების დამტკიცებული გეგმა არ არის მძაფრი, ამიტომ ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა რაიკომებს — მიიღონ ზომები არა მარტო გეგმის შესასრულებლად, არამედ აგრეთვე პურის დამზადების სარაიონო გეგმების გადამეტებით შესასრულებლად, რისთვისაც გამოიყენონ სოციალისტური შეჯიბრების მეთოდი ღარიბ - საშუალო გლეხობის მასების თვითმოქმედების და ჩაბმის საფუძველზე და კულაკზე და გადამყიდველზე შემდგომი გადამწყვეტი შეტევით.

აღინიშნოს სუსტი ხელმძღვანელობა საქართველოს ვაჭრობის სახკომისარიატის, „სოიუზხლებ"-ის და მიწსახკომის მხრით სათესლე სესხის, სათესლე დასაზღვევ ფონდების და მინდის შეგროვების საქმეში. ამასთან აღინიშნოს, რომ ცეკავშირი არ უწევს საკმაო ხელმძღვანელობას თავის დამამზადებელ პუნქტების საოპერაციო მუშაობას, რის გამო ადგილებზე შემჩნეულია პურის ჩამბარებლებზე სამრეწველო საქონლის გაცემა ნორმის ზევით, სატრანსპორტო საშუალების სიმცირე დამზადებულ ხორბლის მისატანად შესაგროვებელ პუნქტებზე და სხვ.

8) წინადადება მიეცეს საქ. ვაჭრობის სახკომისარიატს:

ა) დაუყოვნებლივ მისცეს შესაფერი მითითებები თავის ადგილობრივ ორგანოებს ამ გადაწყვეტილებების მიხედვით;

ბ) პურის დამზადებაში უკვე ჩაბმულ რაიონების გამოცდილების საფუძველზე მისცეს საჭირო მითითებები დანარჩენ რაიონებსაც, სადაც პურის დამზადება ჯერ კიდევ არ დაწყებულა;

გ) შემოწმებულ იქნას პურის ჩამბარებლებზე სამრეწველო საქონლის ნორმის ზევით (30 პროცენტის ზევით) გაცემის ფაქტები და პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი პერსონალურად დამნაშავენი;

დ) სამი დღის ვადაში შეიმუშაოს ზუსტად რაიონების მიხედვით სათესლე სესხის და მინდის შეგროვების და მიღების გეგმა და წარადგინოს იგი დასამტკიცებლად სამდივნოს;

ე) ყოველ ხუთ დღეში წარმოადგინოს ვაჭრობის სახ. კომისარიატმა ცნობები პურის დამზადების მსვლელობაზე, სათესლე სესხის და მინდის შეგროვების პურის მიღების წყაროების აღნიშვნით. ამ ცნობების წარმოდგენა საჭიროა ცალკე რაიონების მიხედვით და როგორც თვითეული რაიონის დამზადების წლიურ გეგმასთან შეფარდებით, ისე განსაზღვრული დროის გეგმასთან შეფარდებით.

9. წინადადება მიეცეს ცეკავშირს:

ა) დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები პურის დამზადებაზე სამრეწველო საქონლის გაცემის ნორმების დარღვევის ასალკვეთად, რასაც ადგილი აქვს ზოგიერთ რაიონებში;

ბ) დამამზადებელ პუნქტების გამგეებს დაეკისროს პერსონალური პასუხისმგებლობა პურის დამზადების საანგარიშო ცნობების თავის დროზე წარმოდგენისათვის.

გ) უზრუნველყოფილ იქნას დამზადებული ხორბლის მიტანა შესაგროვებელ პუნქტებზე. ამ მიმართულებით ზომების მიღება მოხსენდეს ცენტრალურ კომიტეტს ერთი კვირის ვადაში.

10. წინადადება მიეცეს „სოიუზხლებს" და ცეკავშირს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მეთვალყურეობის ქვეშ ორი დღის ვადაში შეთანხმდნენ კონდიციის გამარტივებულ პირობების შესახებ და ერთად მისცენ მითითებები ადგილებს.

11. წინადადება მიეცეს მიწსახკომს სამი დღის ვადაში შეადგინოს დაზღვევის ფონდის და სათესლე ფონდის შეგროვების ზუსტი გეგმა რაიონების მიხედვით და წარუდგინოს იგი სამდივნოს დასამტკიცებლად.

12. ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს პრესის არასაკმაო მონაწილეობას პურის დამზადების კამპანიაში და სრულიად არასაკმაო ბრძოლას პრესის ფურცლებზე პურის დამზადების პრაქტიკის დეფექტებთან, განსაკუთრებით მემარჯვენე გადახრის პრაქტიკულ გამოაშკარავებასთან. ამიტომ წინადადება მიეცეს გაზეთების რედაქციებს გააძლიერონ და გაახშირონ პურის დამზადების საკითხების გაშუქება ამ გადაწყვეტილებების თვალსაზრისით.

რეფორმისტებმა ვერ ჩაშალეს გაფიცვა

პარიზი, 27 აგვისტო. რუბესა და ტურკუენში, სადაც გაფიცულია 70.000 ფეიქარი, რეფორმისტებმა სცადეს გაფიცვის ჩაშლა, მაგრამ მათი ცდა მარცხით დამთავრდა. გაფიცულ მუშების—რუბეს და ტურკუენის რეფორმისტულ პროფკავშირების წევრების კრებებმა ერთხმად უარყვეს კონსორციუმის წინადადება. მაგრამ რეფორმისტების ლიდერებმა შესძლეს კრებებზე ისეთი რეზოლიუციის გატარება, რომელიც მოითხოვს ყოველგვარი ეკონომიური მოთხოვნილებების მოხსნას გაფიცვის დღის წესრიგიდან. რეფორმისტები, აცხადებენ, რომ გაფიცვის მიზნად შემდეგში რჩება „მუშების თავისუფლების და ღირსების დაცვა".

„ლიუმანიტე" სწერს: „რეფორმისტების ყოველგვარი ტაქტიკის მიზანია საშუალება მისცეს საფეიქრო კონსორციუმს ლილის მუშების გაფიცვის ლიკვიდაციის გზით რაც შეიძლება მეტხანს გასძლოს. მუშების მთლიანი ფრონტის დაშლით რეფორმისტებს სურთ პასუხისმგებლობა გაფიცვის ჩაშლისათვის თვით მუშებს დააკისრონ". (ადს)

გაფიცულთა ბრძოლა შტრეიკბრეხერებთან

პარიზი, 27 აგვისტო. ბელგიის მოსაზღვრე რაიონში გაძლიერდა გაფიცულთა ბრძოლა შტრეიკბრეხერებთან. გაფიცულებმა გააბრუნეს ბელგიიდან მომავალი სამი ავტობუსი შტრეიკბრეხერებით; ავტობუსები დაიმტვრა. გაფიცულებმა ლიანდაგიდან გადაგდეს ტრამვაის ვაგონები. არმანტიერში 10.000 გაფიცულიდან არც ერთი არ დაბრუნებულა სამუშაოზე. ლილში სამუშაოზე დაბრუნებულმა რამდენიმე ასეულმა მუშამ მოითხოვა ხელფასის გადიდება. ვინაიდან მეწარმეებლებმა უარი სთქვეს მუშების მოთხოვნილების შესრულებაზე, მუშები კვლავ გაიფიცნენ. (ადს)

საფრანგეთის არმიის მანევრები

ბერლინი, 27 აგვისტო. ფაშისტური „ფელკიშე ბეობახტერ"-ი, რომელიც მიუნხენში გამოდის, იტყობინება, რომ საფრანგეთის არმიის მომავალ დიდ მანევრებში გერმანიის და იტალიის საზღვრებზე, პოლონეთის და რუმინეთის გენერალური შტაბების ოფიცრების გარდა მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე გენერალური შტაბის თეთრგვარდიელი ოფიცრები გენერალ გოლოვინის და დიტრიხსის მეთაურობით (ადს).

ერთა ლიგისა და ინგლისის ფარისევლური დავა

ლონდონი, 27 აგვისტო. გამოქვეყნდა ერთა ლიგის სამანდატო კომისიის მოხსენება და ბრიტანეთის მთავრობის პასუხი არაბთა აჯანყების შესახებ პალესტინაში 1929 წლის აგვისტოში. სამანდატო კომისია ბრალს სდებს ინგლისის მთავრობას უმოქმედობაში, რამაც გამოიწვია შეტაკებები ებრაელებსა და არაბებს შორის და ბრალად სდებს ინგლისს იმას, რომ მას მეტად მცირე ჯარები ჰყავდა პალესტინაში და ცდილობდა დაყრდნობოდა ადგილობრივ მცხოვრებთაგან შემდგარ არასაიმედო ნაწილებს. თავს იცავს რა სამანდატო კომისიის ბრალდების იმ ნაწილში, რომელიც აღნიშნავს, რომ აჯანყება პალესტინაში მიმართული იყო ინგლისის წინააღმდეგ, ინგლისის მთავრობა მთელს დანაშაულს აკისრებს ერთა ლიგას და ამტკიცებს, რომ აჯანყება პირველ რიგში მიმართული იყო სამანდატო კომისიისა და ერთა ლიგის წინააღმდეგ და რომ „ბრიტანეთის ხელისუფალთ ბრალი ედება იმდენათ, რამდენათაც ისინი არიან სამანდატო კომისიის და ერთა ლიგის პოლიტიკის გამტარები".

ლიბერალური გაზეთები ეთანხმებიან სამანდატო კომისიის კრიტიკას, კონსერვატიული გაზეთები კი უსიტყვოთ იწონებენ ლიბორისტული მთავრობის პასუხს. კონსერვატიული გაზეთები დასცინიან ერთა ლიგას, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ერთა ლიგა უკმაყოფილოა ინგლისის არმიის შემცირებით პალესტინაში (ადს).

ტროცკისტების გამორიცხვა საფრანგეთის კომპარტიიდან

პარიზი, 27 აგვისტო. „ლუმანიტეს" ცნობით, საფრანგეთის კომპარტიის საოლქო კომიტეტმა ტურში—საფრანგეთის უნიტარულ პროფკავშირებისა და კომპარტიის პოლიტიკური ხაზის წინააღმდეგ გამოსვლებისათვის ორგანიზაციიდან გამორიცხა მთელი რიგი ტროცკისტები (ადს).

უმუშევრობა ავსტრიაში

ვენა, 27 აგვისტო. უმუშევრობა ავსტრიაში მიმდინარე წელს 50 პროცენტით გაიზარდა. უმუშევართა საერთო რიცხვი ავსტრიაში ნახევარ მილიონს აღწევს (ადს).

აეროპლანის ავარია

პრაღა, 27 აგვისტო. ჩეხო-სლოვაკიის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, ბოგემიისა და მორავიის საზღვარზე ავარია განიცადა პრაღა-ბრატისლავის საჰაერო ხაზის აეროპლანმა. დაიღუპა 12 კაცი (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

სოფლის საწარმოო ამხანაგობების ახალი წესდება

მოსკოვი, 27 აგვისტო. „სოციალისტიჩესკოე ზემლედელიე" მოწინავე წერილს უძღვნის სოფლის საწარმოო ამხანაგობების ახალ წესდებას და აღნიშნავს, რომ ეს წესდება არის უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტი. იგი მთლიანად გამომდინარეობს პარტიის ლენინური ხაზიდან, რომელიც მიზნად ისახავს სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის ბოლშევიკურ ხელმძღვანელობას. ამჟამად ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ დაუყოვნებლივ შევუდგეთ მარტივ საწარმოო გაერთიანებათა მოწყობას ახალი წესდების საფუძველზე და მჭიდროთ დავუკავშიროთ ეს მშენებლობა შემოდგომის თესვას და შემოდგომის ნათესების კონტრაქტაციას. საჭიროა კოოპერატიული ორგანიზაციები ახლავე იქნან გაფრთხილებული ბიუროკრატიული მიდგომისაგან ამხანაგობების მშენებლობის საქმისადმი. საჭიროა საწარმოო ამხანაგობების მაქსიმალურად დაახლოვება.

კოლმეურნეობათა საწარმოო—საფინანსო გეგმები

მოსკოვი, 27 აგვისტო. შესდგა დაინტერესებულ ორგანიზაციების და გაზეთების რედაქციების თათბირი კოლმეურნეობათა წლიურ საწარმოო-საფინანსო გეგმების შესახებ. თათბირმა საჭიროდ სცნო რამდენიმე რაიონში სექტემბერში მოეწყოს კოლმეურნეობათა საწარმოო-საფინანსო გეგმის შედგენის ცდა იმ ანგარიშით, რომ ოქტომბრის დასაწყისში ამ გამოცდილების საფუძველზე მთელს საკოლმეურნეო სისტემას მიეცეს სათანადო დირექტივები.

მუშათა გაზეთებმა დარჩენილი დრო უნდა გამოიყენონ იმისათვის, რომ ფაბრიკა-ქარხნების საწარმოო გამოცდილება გადაიტანონ კოლმეურნეობებში და მიიღონ ყველა ზომები იმისათვის, რომ გეგმა გაიცნონ კოლმეურნეთა მილიონებმა მასებმა.

ბოროტმოქმედება კოოპ. და სახელმწიფო სავაჭროებში

მოსკოვი, 27 აგვისტო. მოსკოვის პროკურატურამ აღმოაჩინა აღმაშფოთებელი ბოროტმოქმედებანი სურსათ-სანოვაგის მომარაგების დარგში. გარდა ყალბი წიგნაკების მრავლად გავრცელებისა, პროკურატურამ აღმოაჩინა მასიური მტაცებლობა მაღაზიებში. სავაჭროების თანამშრომლებს უპოვეს 200—300 შაქრის ტალონი, გადამალული კარაქის და დეფიციტურ საქონლის დიდი რაოდენობა.

ბაუმანის რაიონში მარტო ერთ კვარტალში დაიტაცეს 49 ტონა შაქარი, სხვა რაიონებშიც ასეთივე სურათია. ნაქურდალი სურსათ-სანოვაგის უმეტესი ნაწილი კერძო ბაზარზე მიდიოდა.

ორთქლმავლების შეკეთების საქმე ცუდ მდგომარეობაშია

მოსკოვი, 27 აგვისტო. „ეკონომიჩესკაია ჟიზნ" ათავსებს მთელ რიგ მასალებს, რომლებიც მოწმობენ, რომ ორთქლმავლების რემონტის საქმე ცუდ მდგომარეობაშია იმ დროს, როცა გზები მოელიან ჯანსაღ ორთქლმავლებს. ერთად-ერთ ნათელ ადგილს ამ ფონზე, გაზეთის სიტყვით, წარმოადგენს თბილისის ორთქლმავლებისა და ვაგონების შემკეთებელი ქარხანა, რომელსაც, უნდა აღინიშნოს, უკვე აქვს შემხვედრი საწარმოო-საფინანსო გეგმა.

„სოიუზპლოდოოვოშჩ"-ის აპარატის წმენდა

მოსკოვი, 27 აგვისტო. მთავრდება „სოიუზპლოდოოვოშჩ"-ის აპარატის წმენდა. ირკვევა, რომ მუშაკების შერჩევას ამ ორგანიზაციაში არავითარი ყურადღება არ ექცეოდა. ამის შედეგია ნაკლოვანებები, რომლებიც „სოიუზპლოდოოვოშჩ"-ის მუშაობას ახასიათებდა, მშენებლობის გრანდიოზული გეგმის ჩაშლა და მრავალი სხვა.

მშენებლობის საქმეს, რომლისთვისაც ასეული მილიონი მანეთები იყო გადადებული, ხელმძღვანელობდა ვინმე რომანოვსკი, რომელსაც არავითარი სპეციალური განათლება არ ჰქონდა, მღვდლის შვილი, ყოფილი ოფიცერი, გაქცეული იყო საზღვარგარეთ და 1924 წელს დაბრუნდა საბჭოთა კავშირში. „სოიუზპლოდოოვოშჩ"-ის მთავარ ინჟინერს დვორნიკოვს არც ერთი შენობა არ აუგია. არ იცნობს მშენებლობის საქმეს.

ხილბოსტნეულის დამზადებას განაგებდა ვინმე ტროიცკი, მათემატიკოსი, რომელიც თეთრგვარდიელებს გაჰყვა უცხოეთში და შემდეგ დაბრუნდა.

ამგვარი „სპეცები" ატყუებდენ გამგეობას და საქმის მდგომარეობას ხატავდენ ბრწყინვალე ფერებით.

გამწმენდმა კომისიამ სცნო, რომ „სოიუზპლოდოოვოშჩ"-ის აპარატი, ახლანდელი სახით, ვერ შესძლებს ხილბოსტნეულის საქმის ხელმძღვანელობას. გარდა უვარგის ელემენტების განდევნისა აპარატიდან საჭიროა ორგანიზაციის შტატის ერთი - ორად შემცირება გამგეობის შემადგენლობის გაძლიერება ახალი მუშაკებით და პარტიულ და პროფესიონალურ ორგანოების ხელმძღვანელობის შეცვლა.

პურის ჩაბარების წესი კოლმეურნეობებისათვის რომელთაც სამანქ.-სატრ. სადგურები ემსახურება

მოსკოვი, 27 აგვისტო. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის, საბჭოთა კავშირის კოლმეურნეობათა ცენტრისა და ტრაქტორცენტრის დადგენილება პურის ჩაბარების წესის შესახებ იმ კოლმეურნეობათა მიერ, რომელთაც ემსახურება ტრაქტორცენტრის სამანქანო-სატრაქტორო სადგურები:

1. დამტკიცებულ იქნას იმ კოლმეურნეობათა პურისა და ფურაჟის ბალანსის შედგენის ძირითადი დებულებანი, რომელთაც ემსახურება ტრაქტორცენტრის სამანქანო-სატრაქტორო სადგურები.

2. კოლმეურნეობანი, რომელთაც სამანქანო-სატრაქტორო სადგურები ემსახურება, მთელ თავიანთ ზედმეტ სასაქონლო პროდუქციას აბარებენ სადგურებს, თანახმად სადგურის მიერ კოლმეურნეობებთან დადებული ხელშეკრულების 20 და 21 მუხლისა.

3. ზედმეტი სასაქონლო პროდუქციის რაოდენობის გამორკვევა ხდება სადგურისა და კოლმეურნეობების ურთიერთ შეთანხმებით, თანახმად პურისა და ფურაჟის ბალანსისა, რომელიც შედგენილ იქნა თვითეულისათვის ცალკე.

4. კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი ზედმეტი პურის რაოდენობა არ შეიძლება იყოს იმ ნორმაზე ნაკლები, რაც დაწესებულია ამ ადმინისტრატიული რაიონის ყველა კოლმეურნეობათათვის.

5. პურისა და ფურაჟის ბალანსი შეთანხმებულ უნდა იქნას რაიაღმასკომთან და „სოიუზხლებ"-თან.

6. იმ შემთხვევაში, როცა ზედმეტი სასაქონლო პროდუქციის რაოდენობა ბალანსის მიხედვით დაბალია პურის ჩაბარების იმ ნორმასთან შედარებით, რაც ყველა კოლმეურნეობათათვის არის დაწესებული, კოლმეურნეობა სასაქონლო პროდუქციას აბარებს საერთო წესით, როგორც რაიონის ყველა დანარჩენი კოლმეურნეობანი, ე. ი. რაიონისათვის დაწესებული ჩაბარების ნორმის თანახმად.

7. იმ კოლმეურნეობებში, რომლებმაც სრულად ჩააბარეს ზედმეტი სასაქონლო პური მათთვის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მიერ დაწესებული რაოდენობით, პურის დამზადება დამთავრებულად ჩაითვლება.

8. დაევალოს სამხარეო სავაჭრო განყოფილებათა გამგეებს—თვალყური ადევნონ იმას, რომ კოლმეურნეობებს, რომლებსაც ტრაქტორცენტრის სამანქანო-სატრაქტორო სადგურები ემსახურებიან, იმ შემთხვევაში, როცა ისინი პურს ჩააბარებენ ამ რაიონის კოლმეურნეობათათვის დაწესებული ჩაბარების ნორმის გადაჭარბებით, სამრეწველო საქონელი მიეცეს გადიდებული რაოდენობით, ე. ი. 40 კაპეიკის დეფიციტიანი საქონელი თვითეულ ფუთ პურზე, რაც მათ ნორმას ზევით ჩააბარეს (ადს).

ხელფასის თავის დროზე გაცემისათვის

მოსკოვი, 27 აგვისტო. ცენტრ. საკონტროლო კომისიამ—მუშათა და გლეხთა ინსპექციამ ყველა საკონტროლო კომისიებს—მუშგლეხინებს დაუგზავნა შემდეგი ცირკულიარი:

საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს 16 აგვისტოს დადგენილებით ყველა სამეურნეო ორგანოები ვალდებული არიან ისეთი ანგარიშით შეადგინონ და შეასრულონ თავისი საფინანსო გეგმები, რომ მათთვის დაწესებულ კრედიტების ფარგლებში აუცილებლად უზრუნველყოფილი იქნეს ხელფასის თავის დროზე გაცემა. ამასთანავე სახელმწიფო ბანკის ორგანოებს ეკისრებათ: ყველა იმ შემთხვევების შესახებ, როდესაც სამეურნეო ორგანოები, მათი საკრედიტო ლიმიტების ამოწურვის გამო, მოითხოვენ გეგმის გარეშე კრედიტებს ხელფასისათვის, აცნობონ მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებს; ამასთანავე წარდგენილი უნდა იქნეს საჭირო მასალები სახკომსაბჭოს აღნიშნულ დადგენილების დამრღვევთა პასუხისგებაში მისაცემად.

საკონტროლო კომისიებს—მუშგლეხინებს წინადადება ეძლევათ სასწრაფოდ და დაწვრილებით განიხილონ სახელმწიფო ბანკის მიერ წარმოდგენილი მასალები, გამოააშკარავონ პერსონალური დამნაშავენი და პასუხისგებაში მისცენ ისინი (ადს).

ვინ მალავს ხურდა ფულს

ოდესა, 27 აგვისტო. სოფ. ბორიზნევატკაში (ხერსონშჩინა) ეკლესიის მნათეს აღმოუჩნდა 160 მანეთის ხურდა ფული, კულაკ ანიკოვსკის — 176 მანეთის. დამნაშავეებს პასუხისგებაში აძლევენ (ადს).

„პურისათვის ბრძოლა სოციალიზმისათვის ბრძოლაა" (ლენინი)

სტალინისის რაიონის კოლმეურნეობები აგვიანებენ პურის ჩაბარებას

სტალინისის რაიონის კოლმეურნეობათა კავშირი ფიქრობს, რომ „არტელები პურს თავისთავად ჩააბარებენ სახელმწიფოს".—გორის რაიონის სოფლის საბჭოები არ ხელმძღვანელობენ პურის დამზადებას.—თელავის რაიონში ტარის უქონლობის გამო გლეხებს უკანვე მიაქვთ ჩასაბარებლად მოტანილი პურეული

დაბრკოლებანი გორის რაიონში

(ტელეფონით „კომუნისტი"-ს ბრიგადისაგან)

26 აგვისტოს გორის ცენტრალურ მუშათა კლუბში შესდგა სოფლის საბჭოების თავმჯდომარეების, პარტუჯრედების მდივნების, სოფლებზე მიმაგრებულ ამხანაგების და აგროპერსონალის რაიონული თათბირი. თათბირმა მოისმინა თემსაბჭოების თავმჯდომარეთა მოხსენებები პურის დამზადების კამპანიის მსვლელობის შესახებ:

ტირიფონის ველი

ახალი სოფლის რაიონში — ამბობს ამხ. ჩიხლაძე — წელს უნდა დამზადდეს 27 ათასი ფუთი პური. ამიტომ ბუნებრივია ტირიფონის ველის მიდამოებს პურის დამზადების ირგვლივ უნდა მიქცეოდა განსაკუთრებული ყურადღება. მაგრამ სამწუხაროდ პურის დამზადებისადმი აქ ადგილი აქვს ბიუროკრატიულ მიდგომას და ეს აფერხებს დამზადების მიმდინარეობას. რაიონის კოოპერაცია 80 პროც.-თაც ვერ ასრულებს დაპირებებს. დამამზადებელი აპარატი სუსტია; მიმღებ პუნქტებში მოკალათებულია კლასობრივად უცხო ელემენტები, რომლებიც სისტემატიურ ბოროტებას ჩადიოდნენ. ამის გამო, აღნიშნული პუნქტებიდან მოიხსნა 4 კაცი.

ბიუროკრატიზმის დამახასიათებელია შემდეგი ფაქტიც: ახალსოფელში გაფუჭდა სასწორი. მის მაგიერ სასწორი გამოიგზავნა ორჯერ, მაგრამ ორივე სასწორი უვარგისი აღმოჩნდა და მიმღები პუნქტი პურის მიღებას აუწონავად აწარმოებს.

ამასთანავე აღსანიშნავია „მემარცხენე" ნახტომებიც. მაგალითად, თემში ზოგიერთი საშუალო გლეხები კულაკებათ „მონათლეს" და ამის მიხედვით მათ სასაქონლო პური შეაწერეს. ერთ გლეხს, რომელმაც შარშან სასოფლო - სამეურნეო გადასახადი გადაიხადა 5 მანეთი, წელს ინდივიდუალური წესით შეაწერეს 300 მანეთი და სხვ.

კულაკებს უნდა ჩაებარებინათ 2 ათასი ფუთი პური, მაგრამ ჯერჯერობით მათგან მიღებულია მხოლოდ 700 ფუთი. ზოგიერთ რაიონებში დამზადების წარმატებას ხელს უშლის მოუსავლიანობა, რაც კოლექტივებს არ აძლევს საშუალებას ჩააბარონ სახელმწიფოს კონტრაქტაციით გათვალისწინებული მოსავალი. შემჩნეულია ისიც, რომ ზოგიერთი კოლმეურნენი პურს კერძო ვაჭრებზე ყიდიან.

რაც შეეხება სოფლის საბჭოების მუშაობას, პურის დამზადებაში მათი მონაწილეობა თითქმის არა სჩანს. საბჭოს სხდომა სამჯერ იყო მოწვეული პურის დამზადების საკითხების გასარკვევად, და სხდომა არც ერთხელ არ შედგარა. ერთ სოფლის საბჭომ უარიც კი განაცხადა ურჩ კულაკების წინააღმდეგ ადმინისტრატიულ ზომების მიღებაზე.

მეჯვრისხევის თემი

მეჯვრისხევის თემიდან პურის დამზადების მსვლელობა თათბირს გააცნო ამხ. კობახიძემ. მან აღნიშნა, რომ პურის დამზადება დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. სოფელ ქვემო - სობისში დამზადების გეგმა უკვე შესრულებულია 100 პროცენტით.

გლეხობა ძლიერ ეტანება ჭურჭლეულობას, რაც კოოპერაციას საკმარისად არ გააჩნია. 17 ივლისს ცეკავშირიდან კოოპერაციამ ჭურჭლეულობა გამოითხოვა, რაც დღემდე არ არის მიღებული. დამზადებას აბრკოლებს აგრეთვე მოძრავი მიმღები პუნქტების უქონლობა, რის გამოც აუცილებელია ორი ახალი მიმღები პუნქტის გახსნა. ზოგიერთ კოლმეურნეობაში პურის გალეწვას აშკარა საფრთხე მოელის: ახრისის კოლმეურნეობაში თუ სალეწი მანქანა არ იქნა მოტანილი, ლეწვა იანვრამდე გასტანს.

ტყვიავის თემი

— კულაკები — აცხადებს ამხ. ელიგაშვილი — პურს ნებაყოფლობით არ გვაბარებენ, მაგრამ მიუხედავად ამისა კულაკებს მთელი სასაქონლო პური უკვე ჩავაბარებინეთ სახელმწიფოსათვის. დარჩა მხოლოდ ტყვიავის კულაკობა, რომელიც დღემდე ურჩობას იჩენს და ზედმეტ პურს არ აბარებს სახელმწიფოს.

რაიონს არა აქვს საკმარისად ტომრები. ტარის უქონლობის გამო ტყვიავის თემში გლეხებმა ჩასაბარებელი პური უკანვე წაიღეს.

კარალეთი

ამხ. აბაშიშვილი აღნიშნავს, რომ პურის დამზადების გეგმა არ გამომდინარეობს იმ რეალურ შესაძლებლობიდან, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება. გარდა ამისა დამამზადებელი აპარატი მოუქნელად და ბიუროკრატიულად მუშაობს. ამის გამო ჯერჯერობით დამზადებულია პური 1.640 ფუთი და ქერი მხოლოდ 51 ფუთი.

ადგილი აქვს კლასობრივი ხაზის დამახინჯებას კულაკებზე სასაქონლო პურის გაწერის დროს, რაც გამოიხატება იმაში, რომ ზოგიერთი კულაკი დაუძვრა ამ გაწერას და ზოგან კი პური შეცდომით შეაწერეს საშუალო გლეხებს. ეს შეცდომა სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს, თორემ ის გააძლიერებს კულაკების პოზიციებს პურის დამზადების წინააღმდეგ.

სოფ. შინდისი და ვარიანი

ამ ორ სოფელში უნდა დამზადდეს 8.848 ფუთი პური. დამზადება მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს. ამის მიზეზია აღნიშნულ სოფლების დაგვიანებით შეტანა პურის დამზადების გეგმაში, ახსნა - განმარტებითი კამპანიის ჩაუტარებლობა და სხვ.

ახლახან კოოპერაციამ მიიღო 11 ათასი მანეთის სამრეწველო საქონელი და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამის შემდეგ დამზადების ტემპი გაცხოველდება. ამ თემში შედის 11 სოფელი, მოძრავი პუნქტები კი მხოლოდ სამ ადგილზეა მოწყობილი. რაიონს გეგმაში შეუტანია პუნქტების გადიდება, მაგრამ ფაქტიურად იმ საქმეზე დღემდე არავინ ზრუნავს.

ყველა მოხსენებების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი. კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ უმთავრესად იმ დეფექტებს და მემარჯვენე ოპორტუნისტულ პრაქტიკას, რომელიც აბრკოლებს პურის დამზადების მიმდინარეობას. თათბირმა შეიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი პურის დამზადებაში შემჩნეული დეფექტების გამოსასწორებლად და დამზადების დროზე და მთლიანად შესასრულებლად.

კულაკების და ოპორტუნისტების წინააღმდეგ

(მეჯვრისხევი)

22 აგვისტოს მეჯვრისხევის რაიონში დამზადებულია 2.303 ფუთი პური. ამ დღეებში ახლო - მახლო სოფლების მიმღები პუნქტებიდან მოელიან პურის დიდი რაოდენობით მიღებას, რის შემდეგაც მთელი სასაქონლო პური ზეიმით ჩაბარდება გორის დამამზადებელ პუნქტს. პურის ჩასაბარებლად სამზადისი უკვე მიმდინარეობს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პურის დამზადებას ელობება ზოგიერთი სერიოზული დაბრკოლებები. პირველ რიგში აღსანიშნავია კულაკების თავხედობა: მიუხედავად იმისა, რომ მტკიცე დავალება კულაკებს თავის დროზე მიეცათ, ზოგიერთი მათგანი ჯიუტობს და თავს არიდებს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარებას. კულაკებმა (ბიძინაშვილი, ცარციძე, ი. მუნჯიაშვილი) კატეგორიული უარი განაცხადეს პურის ნებაყოფლობით ჩაბარებაზე. სოფ. მეჯვრისხევის კულაკი მუნჯიაშვილი არ მკის ყანას იმ მიზეზით, რომ არ სურს ზედმეტი პური სახელმწიფოს ჩააბაროს. ამის გამო, თემაღმასკომის პრეზიდიუმმა დადგენილება გამოიტანა იმის შესახებ, რომ ყანა კოლმეურნეობის წევრებმა მომკან.

სოფ. ბერშუეთში პირველ ხანებში გლეხებს უარი განუცხადებიათ პურის ჩაბარებაზე. რა იყო ამის მიზეზი? რა თქმა უნდა კულაკების პროვოკაცია. არის ცნობები იმის შესახებაც, რომ ამ ბნელი ზრახვების განსახორციელებლად კულაკებს ფარული კრებაც კი მოუწვევიათ. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად თემის ხელისუფლებამ მოიწვია გლეხობის საერთო კრება, რომელზედაც მათ განუმარტეს პურის დამზადების მნიშვნელობა, რამაც სათანადო ნაყოფი გამოიღო: თუ დამზადების დღიდან 21 აგვისტომდე 20 ფუთი პური შეიკრიბა, განმარტებების ჩატარების შემდეგ 2 დღის განმავლობაში 150 ფუთი პური დამზადდა. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ ზოგიერთ სოფლებში ახსნა - განმარტებითი მუშაობა მოისუსტებს.

სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს აგრეთვე მემარჯვენე გადახრას პრაქტიკაში, რამაც თავი იჩინა პურის დამზადების დროს; ასეთი განწყობილება კი მეჯვრისხევის თემში არის. აი მაგალითებიც: სოფ. ბერშუეთში თბილისიდან „საგასტროლოდ" ჩამოსული 3 კომკავშირელი ახსნა-განმარტების მაგიერ გლეხებს ეუბნებოდენ: „პური არ ჩააბაროთ სახელმწიფოს". ზოგიერთი კომუნისტები უარს აცხადებენ პურის ჩაბარებაზე, იმ მიზეზით, რომ მათ მოსავალი არ მოსვლიათ. შემოწმების შემდეგ კი ირკვევა, რომ მათ ზედმეტი პური აქვთ.

ყველა ეს დეფექტები დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს, თორემ იგი დიდს ზიანს მიაყენებს დამზადების საქმის თავის დროზე შესრულებას.

„კომუნისტი"-ს ბრიგადა.

მოსაგვარებელია ტრანსპორტის საქმე

(თელავის რაიონი, კახეთი)

პურის დამზადების საქმეში ტრანსპორტს აუცილებლად დიდი ადგილი უჭირავს. ტრანსპორტის სიმცირე და იმავე დროს მისი არა რაციონალურად გამოყენება, დიდად აფერხებს პურის დამზადების დაჩქარებას.

„სოიუზხლებ"-ის მიმღებ პუნქტს თელავის რაიონში ხუთი დღეა რაც სოფლებში მიღებული პურის საკმაო რაოდენობა მოეპოვება, მაგრამ გადასაზიდი საშუალებების უქონლობის და სიმცირის გამო ისინი მიმღებ პუნქტს პურს ვერ აბარებენ.

თელავის რაიონის სათანადო ორგანიზაციებმა ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხის გადასაჭრელად, ე. ი. ტრანსპორტის საკითხის მოსაგვარებლად უნდა გადადგან სათანადო ნაბიჯები; ურმები და სხვა გადასაზიდი საშუალებები გამოყენებულ უნდა იქნენ რაციონალურად და მასთან დანიშნულებისამებრ. როგორც ვიცით ეს კი თელავის რაიონში არ ხდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თელავის რაიონის სოფლებში არსებული კოოპერატივები, რომლებიც აწარმოებენ პურის დამზადებას, არავითარ ინფორმაციას არ აწვდიან „სოიუზხლებ"-ის მიმღებ პუნქტს იმის შესახებ, თუ რა შეფერხებებს აქვს ადგილი პურის დამზადების და გადმოზიდვის დროს. მათ შორის არ არსებობს არც ცოცხალი, არც წერილობითი კავშირი. ეს მდგომარეობა აფერხებს საშუალებების სწორად განაწილებას და ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას.

„კომუნისტი"-ს ბრიგადა.

დამზადება ყვარელში

(ტელეგრაფით ყვარელიდან)

ა.-წ. 25 აგვისტოსათვის ყვარლის რაიონში დამზადებული ქონდა 32.203 ფუთი ხორბალი და 370 ფუთი ქერი; ამრიგად **რაიონში პურის დამზადების გეგმა 25 აგვისტოსათვის შესრულებული იყო 46 პროცენტით.**

დამზადებული პურის საერთო რაოდენობიდან შემოსულია: კულაკთა მეურნეობებიდან 1.836 ფუთი, კონტრაქტაციით კოლმეურნეობებიდან, 2.635 ფუთი, კონტრაქტაციით ინდივიდუალურ მეურნეობებიდან 164 ფუთი, თავისუფალი დამზადებით კოლმეურნეობებიდან 2.687 ფუთი, თავისუფალი დამზადებით ინდივიდუალურ მეურნეობებიდან 22.664 ფუთი და საბჭოთა მეურნეობებიდან 1.417 ფუთი.

გარდა ამისა, მთელს რაიონში შეგროვილია სათესლე ფონდი 726 ფუთი. მზადება გაცხოველებით მიმდინარეობს.

„კომუნისტი"-ს ბრიგადა
მთვრალაშვილი.

პურის დამზადება ამიერკავკასიაში სუსტად მიმდინარეობს

„სოიუზხლებ"-ის ცნობით 20 აგვისტოსათვის ამიერ - კავკასიაში დამზადებული იყო სულ 786.842 ფუთი ხორბლეული, რაც დამზადების მთლიანი გეგმის დაახლოვებით 16 პროც.-ს შეადგენს. აქედან აზერბეიჯანში დამზადებული იყო 521.482 ფუთი, ანუ დამზადების მთლიანი გეგმის 16,3 პროც., სომხეთში — 24.130,4 ფუთი, ანუ მთლიანი გეგმის დაახლოვებით 31 პროც. და საქართველოში 287.109,6 ფუთი, ანუ მთლიანი გეგმის 28,71 პროც. საბჭოთა მეურნეობებისაგან „სოიუზხლებ"-ს 20 აგვისტოსთვის ჩაბარებული ჰქონდა მხოლოდ 3.804 ფუთი და სამანქანო - სატრაქტორო სადგურებიდან — 2.604 ფუთი.

ამრიგად 20 აგვისტოსთვის შესრულებული იყო ამიერ - კავკასიის პურის დამზადების მთლიანი გეგმის მხოლოდ 16 პროც. დამზადების საქმეში მეტად ჩამორჩენილია აზერბეიჯანი, სადაც 20 აგვისტოსთვის შესრულებული იყო მთლიანი დამზადების გეგმის მხოლოდ 16,3 პროც.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ პურის ჩაბარებას მეტად აგვიანებენ როგორც სამანქანო - სატრაქტორო სადგურები, ისე საბჭოთა მეურნეობები. ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. უახლოეს ათდღიურში, დამზადების საქმეში, აუცილებლად გარდატეხა უნდა მოხდეს. ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა მთელი ყურადღება პურის დამზადების საქმეზე უნდა გადაიტანონ და ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რომ დამზადების გეგმა დროზე და მთლიანად შესრულდეს.

ვიმარჯვებთ

(კასპი)

კასპის რაიონში პურის დამზადება წარმატებით მიმდინარეობს. უკვე შესრულებულია მთელი დასამზადებელი გეგმის 50 პროცენტი. სოფლებს შორის გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება, რომელშიც **პირველობა ხვდა კასპის სასოფლო საბჭოს:** კასპის სასოფლო საბჭომ პურის დამზადება გადაჭარბებით შეასრულა და წითელი ქარავნებით დამზადებული პური უკვე მიმღებ პუნქტებს ჩააბარა.

წითელი ქარავნების დამატებით მიღებას აფერხებს საქონლის ავადმყოფობა. იმედი გვაქვს, რომ დამზადების გეგმა შესრულებული იქნება თავის დროზე და მთლიანად.

გრ. გოგიტიძე.

გეგმა შესრულდა 110 პროცენტით

(მცხეთა)

მცხეთის კოოპერატივს აგვისტოს თვის განმავლობაში უნდა დაემზადებინა 2.000 ფუთი პური. მიღებული იქნა ყველა ზომები ამ გეგმის დროზე შესასრულებლად, დაირაზმა მთელი აქტივი და გაჩაღებული იქნა სოციალისტური შეჯიბრება.

ამ ზომების მეოხებით მოხდა საგრძნობი გაუმჯობესება პურის დამზადებაში. **ა.-წ. 25 აგვისტოსათვის გეგმა შესრულებული იქნა 110 პროცენტით.** მიუხედავად გეგმის გადაჭარბებით შესრულებისა პურის დამზადება გრძელდება.

მცხეთელი.

„არტელები პურს თავისთავად ჩააბარებენ"

(სტალინისი).

პურის დამზადების პირველი ორი დეკადის გეგმა სტალინისის რაიონში გადაჭარბებით არის შესრულებული: 20 აგვისტომდე უნდა დამზადებულიყო 15,280 ფუთი და სინამდვილეში კი დამზადებული იქნა 16,659 ფუთი. მიუხედავად ზოგიერთი სოფლების სეტყვისაგან დაზარალებისა— დამზადება ყველგან გაცხოველებით მიმდინარეობს. აქვე უნდა აღვნიშნოთ დამზადების დეფექტები რომლებიც მდგომარეობენ შემდეგში:

არ ექცევა ყურადღება გლეხების საკონტრაქტაციო დავალებათა შესრულებას; კულაკებისაგან ჩასაბარებელი პური დღემდე მიღებულია მხოლოდ 9 პროცენტის რაოდენობით; 20 აგვისტომდე კოლექტივებს თავიანთი სასაქონლო პურის მხოლოდ 25 პროცენტი აქვთ ჩაბარებული სახელმწიფოსათვის, დაკონტრაქტებული პური კი შეგროვილია 40 პროცენტის რაოდენობით.

ეს გარემოება უმთავრესად აიხსნება „თვითმიმდინარეობის" განწყობილებებით. ადგილობრივ ამხანაგებს გონიათ, რომ დაკონტრაქტებული პური „თავის-თავად მოვა" და კოლექტივები თავიანთ ზედმეტ პურს უსიტყვოდ ჩააბარებენ სახელმწიფოს: ა.-წ. 18 აგვისტოს კოლმეურნეობათა რაიკავშირის თავმჯდომარემ ამხ. გულბანმა თათბირზე განაცხადა: „თქვენ ნუ სწუხდებით, სას.-სამ. არტელები პურს წესიერად და სრულიად ჩააბარებენ სახელმწიფოს". ვფიქრობთ, რომ ასეთი განმარტება „თვითმდინარების" ოცნებისათვის მინდობას ნიშნავს და არსებითად ის ვნებს საქმეს.

საჭიროა ადგილობრივი ღარიბთა ჯგუფების მუშაობის გაძლიერება და მთელი საზოგადოებრივი აზრის დარაზმვა იმისათვის, რომ კულაკური წინააღმდეგობა გატეხილი იქნეს; საჭიროა კოლმეურნეთა შორის ღრმა და საფუძვლიანი ახსნა - განმარტებების ჩატარება, პურის დამზადების გეგმის თითეულ კოლმეურნეობამდე დაყვანა და კოლექტივებში გაერთიანებული გლეხების დარაზმვა პურის დამზადების პრაქტიკული ამოცანების ირგვლივ.

დასასრულ, საჭიროა იმ აზრის აღმოფხვრა, რომელსაც გონია, რომ განსაზოგადოებულ სექტორში ყველაფერი „თავის - თავად" გაკეთდება.

ხაშურელი.

რა აფერხებს დამზადებას

(ნაფარეული და ფშაველი. თელავის რაიონი)

საკონტროლო ციფრების მიხედვით ნაფარეულის საბჭომ უნდა დაამზადოს 8.000 ფუთი პური, ფშაველის საბჭომ კი 10.000 ფუთი. ორივე საბჭოში პურის დამზადებას აწარმოებს სამომხმარებლო კოოპერაცია. 20 აგვისტოსათვის ორივე სასოფლო საბჭოს დამზადებული ჰქონდათ— 10.000 ფუთი პური.

პურის დამზადების დროს დაბრკოლებებს აქვს ადგილი. სალეწი მანქანების უქონლობა აფერხებს ლეწვის საქმეს. **კოლექტივები კევრებით ლეწვას არ კადრულობენ, ისინი სალეწ მანქანას უცდიან.**

დამზადებას აფერხებს აგრეთვე სამრეწველო საქონლის სიმცირე; გლეხებს ესაჭიროებათ ფართალი, შეკერილი ტანსაცმელი, საპონი, კოჭის ძაფები და პაპიროსი. ასეთი კი კოოპერატივებს ძალიან მცირე რაოდენობით მოეპოვებათ. რას ეყოფა 11 სოფელს 9 ფუთი საპონი, როდესაც მისი მოთხოვნილება გაცილებით დიდია. სამაგიეროდ ცეკავშირმა ნაფარეულის და ფშაველის კოოპერატივებს კრაოტები და საკერავი მანქანები გამოუგზავნა. სიძვირის გამო ჯერ - ჯერობით ესეთი საქონელი არ იყიდება.

ტარის სიმცირეც საგრძნობ გავლენას ახდენს პურის დამზადების ტემპის დაჩქარებაზე. ყველა ეს დეფექტები გადაჭრით უნდა გამოსწორდეს.

„კომუნისტი"-ს ბრიგადა

უვარგისი ტემპით

ამა წლის 20 აგვისტოსათვის თელავის რაიონმა პურის დამზადების გეგმა შეასრულა 27,7 პროცენტით,— ესე იგი სამოცი ათასი ფუთი პურის ნაცვლად დამზადებულია 16243 ფ. პურეული.

კულაკურ მეურნეობამდე გეგმა მიყვანილი იქნა მხოლოდ გუშინ. პურის დამზადებას ხელს უშლის სამრეწველო საქონლის დიდი ნაკლებობა.

ცეკავშირმა ყოველმხრივ უნდა დააჩქაროს ფართლეულის, რკინეულის და საპნის გადმოგზავნა, წინააღმდეგ შემთხვევაში დამზადების გეგმა აგვისტოში ვერ შესრულდება.

„კომუნისტი"-ს ბრიგადა

პარტიული მშენებლობა

პარტორგანიზაციებმა დაუნდოგლად უნდა იბრძოლონ
ხუთწლედის მეორე წლის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის

„პარტიის პოლიტიკის გატარება ხუთწლიანი გეგმის განხორციელების საქმეში ეყრდნობოდა მუშათა კლასის უფართოესი მასების შრომით ალფრთოვანებასა და შემოქმედებითი ენთუზიაზმს, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა მასიურ გამოსვლებში შრომის ორგანიზაციის სოციალისტურ ფორმებზე, სოციალისტურ შეჯიბრებასა და დამკვრელობაზე, რომელნიც ახალ ეპოქას ჰქმნიან სოციალისტურ მშენებლობაში. პარტიამ მომავალშიც აქ უნდა ეძიოს ძირითადი წყარო ხუთწლიანი გეგმის შესრულების სიძნელეთა გადალახვისათვის, სოციალიზმის მშენებლობის ტემპების დაჩქარებისათვის". (მე-16 პარტყრილობის დადგენილებიდან)

გავაძლიეროთ პარტ-ხელმძღვანელობა
დამკვრელ ბრიგადებზე
(„პროლეტარი")

თამბაქოს პირველი ფაბრიკის „პროლეტარი"-ს პარტუჯრედის სწორი და სისტემატიური ხელმძღვანელობით სოციალისტური შეჯიბრება ფართოდაა გაშლილი. კომკავშირელები ასი პროცენტით და პარტიის წევრები 90 პროცენტით აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სოციალისტურ შეჯიბრებაში...

მუშათა ენთუზიაზმის ჯერ არნახული ზრდით და პარტუჯრედის აქტიური ხელმძღვანელობით მეორე კვარტალის საწარმოო-საფინანსო გეგმა შესრულებული იქნა 112,2 პროცენტით. ამჟამად მეორე კვარტალში შევსებულ იქნა პირველი კვარტალის დანაკლისი და გეგმაც 2,2 პროცენტის გადაჭარბებით შესრულდა...

...პერიოდში 5 საამქრომ თავიანთი საამქროები დამკვრელად გამოაცხადა.

პირველ კვარტალის საწარმოო-საფინანსო გეგმის 10 პროცენტის დანაკლისის გამოსასწორებლად პარტუჯრედმა სათანადო ზომები მიიღო. პარტორგანიზაციამ სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა ჩაატარა მუშათა ფართო მასებში; უჯრედის წევრთა და მუშების საერთო კრებამ მიიღო დადგენილება, რომ მეორე კვარტალის გეგმის გადაჭარბებით შესრულებით დაფარულიყო პირველი კვარტალის დანაკლისი.

...დღეებში პარტუჯრედის ხელმძღვანელობა დამკვრელ ბრიგადებზე შესუსტდა, რამაც გამოიწვია ერთი დამკვრელი ბრიგადის დაშლა.

მიმდინარე სამეურნეო წლის გადამწყვეტია—მეოთხე კვარტალი. მუშები დიდი ენტუზიაზმით არიან ჩაბმული დიად სამუშაოებში. ისინი იმედს გამოსთქვამენ, რომ მეოთხე კვარტალის და, მაშასადამე, მთელი წლის საწარმოო-საფინანსო გეგმას გადაჭარბებით შეასრულებენ.

ახალგაზრდა მუშა.

არც ერთი კომუნისტი დამკვრელობის გარეშე
(საქონლის სადგური)

თბილისის საქონლის სადგურის პარტუჯრედმა სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის ფართოდ გასაშლელად მთლიანად გამოიყენა ადგილობრივი კედლის გაზეთი, დრამწრე, წითელი კუთხე და სხვა. თვის ბოლოს სოცშეჯიბრების შედეგების შეჯამების შემდეგ იმართებოდა მუშების საზეიმო სხდომები გამარჯვებულ ბრიგადების დასაჯილდოებლად. მუშაობის ასეთ მეთოდმა დიდი გავლენა მოახდინა მუშათა მასებზე და სოც. შეჯიბრება და დამკვრელობა კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა: საქონლის სადგური მთლიანად გამოცხადებულ იქნა დამკვრელ ერთეულად.

საქონლის სადგურში ითვლება 19 საწარმოო წერტი, სოცშეჯიბრებაში ჩაბმულია ცალკე წერტები და საწყობები. საქონლის სადგურის მუშების სოცშეჯიბრების ხელშეკრულება დადებული აქვთ ბაქოს და ქუთაისის საქონლის სადგურის მტვირთავ მუშებთან. სოც. შეჯიბრების ხელშეკრულების წამაგალითოდ შესრულებისათვის დამკვრელი ბრიგადები და ცალკე ცვლები გამოცხადებული არიან წითელ დაფაზე.

სოცშეჯიბრების ხელშეკრულებათა მუხლების გადაჭარბებით შესრულებისათვის სამეურნეო წლის მესამე კვარტალის აპრილის თვეში ჯილდო მიიღო მე-15 საწყობის პირველ ჯგუფმა. პირობების შესრულებისათვის მადლობა გამოეცხადა მთელ რიგ საწყობებს.

საწარმოო თათბირებში ჩაბმულია მუშების 40 პროცენტი. სამივე კვარტალის განმავლობაში საწარმოო თათბირს მიუღია 57 საქმიანი წინადადება, აქედან ადმინისტრაციას შეუსრულებია მხოლოდ 7 წინადადება.

საქონლის სადგურში ირიცხება 130 კომუნისტი და 70 კომკავშირელი. ისინი 100 პროცენტით არიან ჩაბმული სოცშეჯიბრებასა და დამკვრელ ბრიგადებში.

იქაური.

გამოვიყენოთ მუშათა ენტუზიაზმი
(26-ის სახ. ქარხანა)

26 კომუნარის სახ. ქარხანაში სოცშეჯიბრება ფართოდაა გაშლილი, ჩამოყალიბებულია 45 დამკვრელი ბრიგადა. სოცშეჯიბრებაში ჩაბმულია 229 კაცი; პარტიის წევრები მთლიანად ჩაბმული არიან დამკვრელ ბრიგადებში და სოც. შეჯიბრებაში.

ქარხნის ადმინისტრაცია, უჯრედის ბიურო და თვით მუშათა კომიტეტები არ აწარმოებენ მუშების საქმიანი წინადადების აღრიცხვას. ლოზუნგი „საწარმოო-საფინანსო გეგმა ქარხნიდან საამქროებამდე, საამქროებიდან ცეხებამდე" მთლიანად არ არის შესრულებული. მაგ., საზეინკლო საამქროში მუშამ განაცხადა, რომ ის არ იცნობს საწარმოო-საფინანსო გეგმას.

მიუხედავად ამისა მუშათა ენტუზიაზმით და ენერგიული მუშაობით საწარმოო-საფინანსო გეგმა შესრულებულია, მაგ., საწოლების ... გეგმა სამივე კვარტალში უნდა დამზადებულიყო 12.800 ც., სინამდვილეში კი დამზადებული იქნა 10.266 ცალი. საწოლების გამომუშავების გეგმა შესრულებულ იქნა — 95,6 პროცენტით. ტაშტების დამუშავების გეგმა შესრულებულ იქნა 125,5 პროცენტით, ე. ი. 180 ცალის მაგიერ გამოშვებული იქნა 226 ცალი. თუჯის ჩამოსხმის გეგმა შესრულებული იქნა 110,6 პროც. სპილენძის—123,3 პროც. და სხვ.

შრომის დისციპლინა საგრძნობლად განმტკიცდა. საზეინკლო საამქროში 22 აგვისტომდე ადგილი ჰქონდა უმიზეზოდ 7 სამუშაო დღის გაცდენას.

მე-16 პარტყრილობის სახელობის დამკვრელი მუშები აცხადებენ, რომ ისინი 5 წლიანი გეგმის მეორე წლის საწარმოო-საფინანსო გეგმას გადაჭარბებით შეასრულებენ.

ი. ბ.

შევამციროთ წუნდადებული საქონლის გამოშვება
(აბრეშუმის საქსოვი ახალი ფაბრიკა)

აბრეშუმის საქსოვ ახალ ფაბრიკაში, პარტუჯრედის ხელმძღვანელობით, მუშები იცნობენ საწარმოო-საფინანსო გეგმას. პარტუჯრედმა ახსნა-განმარტებითი მუშაობა ჩაატარა მუშათა ფართო მასებში, რომ არც ერთი მუშა არ დარჩენილიყო გეგმის ... იქნა. მაგ. ძველი გეგმით წლის მეორე ნახევარში უნდა დამზადებულიყო 305 ათასი მეტრი ქსოვილი, ახალ გეგმაში კი გათვალისწინებულია 221 ათასი მეტრის დამზადება. მესამე კვარტალში უნდა დამზადებულიყო 101 ათასი მეტრი და ...

...გეგმა 100,5 პროცენტით შესრულდა. მეორე კვარტალში კი ფაბრიკამ გეგმის 60 პროცენტის შესრულება ძლივს შესძლო. გეგმის შეუსრულებლობის მთავარ მიზეზად ითვლება ის გარემოება, რომ მეორე კვარტალში გათვალისწინებული დაზგები ვერ იქნა მოწყობილ ამუშავებული. მაგ. მეორე კვარტალში უნდა ემუშავა 80 დაზგას, მუშაობდა—71 დაზგა. გარდა ამისა ფაბრიკა ახალი მოწყობილია და მეორე კვარტალში წარმოების გაზრდასთან დაკავშირებით კვალიფიციური მუშა ხელი ფაბრიკას არ ჰყავდა საკმაო რაოდენობით. მუშა-ხელის მოსამზადებლად ფაბრიკამ მეორე კვარტალშივე გადასდგა პრაქტიკული ნაბიჯები. გახსნა მუშების მოსამზადებელი კურსები; 10 მუშა მოსკოვში მიავლინა იქაური ფაბრიკების დასათვალიერებლად და მათი მუშაობის პრაქტიკის გადმოსატანად.

ზედმეტი ორგანოების ჩარევით სამეურნეო წლის მეორე ნახევრის გეგმა შეცვლილ...

...ფიცდა 22 ... შრომის დისციპლინა. სამუშაო საათების უმიზეზოდ გაცდენა დაყვანილ იქნა 0,63 პროცენტამდე. წუნდადებულ საქონლის გამოშვება საგრძნობლად შემცირდა. პირველ ხანებში წუნდადებული საქონელი 14 პროც. შეადგენდა. მეორე კვარტალში—11 პროცენტს. მესამეში—7 პროცენტს. მუშების 180 საქმიან წინადადებიდან შესრულებული და ცხოვრებაში გატარებულია — 43 ერთმმართველობა კარგად არის გატარებული.

ყოველივე ეს უნდა მიეწეროს ადგილობრივ პარტუჯრედის სწორ ხელმძღვანელობას. პარტიის უჯრედის ბიურო სისტემატიურ კონკრეტულ ხელმძღვანელობას უწევდა დამკვრელ ბრიგადებს მუშაობის ფართოდ გასაშლელად. თვით პარტიის წევრები დამკვრელობაში მაგალითს აძლევენ უპარტიო მუშებს.

ა. ჩ—ნი.

მუშებმა არ იციან დამკვრელობის მნიშვნელობა
(ფეხსაცმელების ფაბრიკა)

ფეხსაცმლების ფაბრიკაში პარტუჯრედი სუსტ მონაწილეობას ღებულობს სოცშეჯიბრებასა და დამკვრელობის ფართოდ გაშლაში. უჯრედის წევრების მხოლოდ 60 პროცენტია ჩაბმული დამკვრელ ბრიგადებში. ქარხნის პარტბიუროკოლექტივს ჯერ კიდევ არ ჩაუტარებია სათანადო მუშაობა პარტიულ და უპარტიო მუშათა მასებში — სოცშეჯიბრებასა და დამკვრელობის ფართოდ გაშლის შესახებ. ადგილობრივ ქარხკომსაც ამ მიმართულებით არაფერი არ გაუკეთებია, მუშები მასიურად არ არიან ჩაბმული სოცშეჯიბრებაში. ქარხკომის თავმჯდომარის განცხადებით მუშებმა არ იციან რა არის სოცშეჯიბრება და დამკვრელობა.

საწარმოო - საფინანსო გეგმების შესრულების მხრივ ასეთი სურათი გვაქვს. პირველ კვარტალში ფაბრიკას უნდა დაემზადებია 126.862 წყვილი ფეხსაცმელი, ნამდვილად კი დამზადდა 106.902 წყვილი ფეხსაცმელი, ე.ი. პირველი კვარტალის გეგმა შესრულდა 84,3 პროცენტით. გეგმის შეუსრულებლობის მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ქარხანაში მიღებულ იქნენ ახალი მუშები, რომლებიც არ იცნობდენ წარმოებას. მეორე კვარტალში უნდა დამზადებულიყო 149.150 წყვილი ფეხსაცმელი; დამზადებულ იქნა 148.250 წყვილი ფეხსაცმელი. გეგმა შესრულდა 99,4 პროცენტით.

მესამე კვარტალში უნდა დამზადებულიყო 165.035 წყვილი ფეხსაცმელი, გამოშვებულ იქნა 168.000 წყვილი ფეხსაცმელი, ე.ი. გეგმა შესრულებული იქნა 101,7 პროც. მეოთხე კვარტალში უნდა დამზადდეს 173.955 წყვილი ფეხსაცმელი, აქედან ... ივლისში დამზადებულია 66.118 წყვილი ფეხსაცმელი, ე.ი. გეგმის 38 პროცენტი. ერთმმართველობა კარგად ტარდება. შრომის ნაყოფიერების აწევის დარგში გეგმა არ არის შესრულებული. წუნდადებული საქონლის გამოშვება მცირდება. გამოყოფილია სპეციალური კომისია, რომელიც თვალყურს ადევნებს წუნდადებულ საქონლის გამოშვებას.

მიუხედავად იმისა, რომ ფაბრიკის მუშებმა არ იციან რა არის სოცშეჯიბრება, ისინი დაინტერესებული არიან წარმოების ზრდით. უნდა ვიფიქროთ, რომ პარტუჯრედისა და ქარხკომის ფართოდ რომ გაეშალათ მასიური მუშაობა, ფაბრიკა საწარმოო-საფინანსო გეგმას დიდი გადაჭარბებით შეასრულებდა. შემდეგში პარტიულმა უჯრედმა მაქსიმალური ყურადღება უნდა მიაქციოს სოც. შეჯიბრების და დამკვრელობის ფართოდ გაშლას ფაბრიკაში.

ფაბრიკის მუშა.

წითელი ჯარის მანევრების წინ

28 აგვისტო—მანევრების პირველი დღე

28 აგვისტოს, იწყება წითელი ჯარის მანევრები.

მანევრების პირველი ეტაპია—ჯარის მოგზაურობა რკინის გზით საბრძოლო გარემოებასთან დაახლოებულ პირობებში.

სტალინის სახელობის დივიზიის პირველი ეშელონი გავა გორიდან მანევრების რაიონისაკენ. გზაში მოსალოდნელია „მოწინააღმდეგის" აეროპლანების თავდასხმა ეშელონებზე.

მანევრების პირველი ეტაპი—მგზავრობა რაიონის გზით—გამოყენებულ იქნება მებრძოლთა გასაცნობათ საჰაერო თავდაცვის ხერხებთან.

ე. ხუციშვილი.

ბანაკი, გორი, 27 აგვისტო.

ამოცანას ბრწყინვალედ შევასრულებთ

მიტინგი გორის ბანაკში

ბანაკის ახლო მდებარე ფართო მოედანზე თავი მოუყრია სტალინის სახელობის მთელ დივიზიას. არმიელებს ქუდებზე გაკეთებული აქვთ წითელი ნიშანი, ეს ნიშნავს მას, რომ დივიზია შედის „წითლების" რაზმის შემადგენლობაში.

აქ, მოედანზე, დანიშნულია მიტინგი დივიზიის გასვლის გამო მანევრებზე.

ამხ. გ. ქუთათელაძის სიტყვა

დივიზიის სამხედრო კომისარი ამხ. ნიკო ...

...მანევრები ჩატარდება ჩქარი ტემპებით, რომ გამოაშკარავდეს, თუ როგორ აქვთ შეთვისებული არმიელებს და მეთაურებს სამხედრო ხელოვნება.

დივიზიის სარდლობა დარწმუნებულია, რომ დივიზიის მთელი შემადგენლობა გამარჯვებული გამოვა მანევრებიდან. ყოველი არმიელი და მეთაური გამოიჩენს ამტანიანობას, გამძლეობას, ინიციატივას, საქმის საუკეთესოდ ცოდნას და დაამტკიცებს საქართველოს მშრომელთ, რომ იგი ყოველთვის მზად არის გასცეს პასუხი ჩვენს მტრებს.

...

ამხ. ნ. ...ის სიტყვა

...

ე. ხუციშვილი.

ბანაკი, გორი, 27 აგვისტო.

შავი ლითონის შეგროვების ორთვიური

საქართველოს პროფსაბჭომ განიხილა შავი ლითონის შეგროვების ორთვიურის ჩატარების საკითხი და საჭიროდ სცნო, რომ მუშა-მოსამსახურეთა შორის წინასწარ ჩატარდეს ფართო მოსამზადებელი მუშაობა; წარმოება-დაწესებულებებში უნდა მოეწყოს ორთვიურის დამხმარე, კომისიები, რომლებსაც უნდა დაევალოს კამპანიის მსვლელობის შემოწმება; კამპანიაში ჩაბმული უნდა იქნან ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. მუშებს შორის უნდა გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა შავი ლითონის შეგროვების საქმეში; „ზაგოტსირიე"-ს წინადადება მიეცა აქტიური მონაწილეობა მიიღოს ორთვიურის ჩატარებაში—შავი ლითონის დაგროვების საქმეს უნდა დაუთმოს თავისი საწყობები, ბინები და გადასაზიდი საშუალებები. ამავე მიზნისათვის გამოყენებული უნდა იქნან ნავთისა და შეშის საწყობები.

ლითონის ნატეხების შეგროვება უნდა აწარმოონ როგორც კერძო და კოოპერატიულ საცხოვრებელ სახლების ეზოებში, ისე წარმოება-დაწესებულებებში, რის შესახებაც გამოცემულ უნდა იქნას ქალაქის აღმასკომის სათანადო დადგენილება.

მუშკოოპის წმენდამ არ გამოიღო დამაკმაყოფილებელი შედეგი

სოციალისტური მშენებლობის მიმდინარე პერიოდმა მეტად რთული ამოცანები დააკისრა კოოპერაციას. ვაჭრობის დარგიდან კერძო კაპიტალისტურ ელემენტების განდევნასთან დაკავშირებით კოოპერაცია გახდა მთელი ჩვენი მშენებლობის მეტად დიდი ფაქტორი. კოოპერაცია პრაქტიკულად შეუდგა იმ დიდი ამოცანის შესრულებას, რომელსაც მას ამხ. ლენინი უსახავდა სოციალიზმის აშენების საქმეში. ეს თავის თავად მეტად ძნელი ამოცანა უფრო გართულებულია დღეს მშრომელთათვის პირველ მოთხოვნილების პროდუქტების ნაკლებობით. მდგომარეობას მეტად აძნელებს ისიც, რომ ჩვენ კოოპერატიულ კადრებს ...

წმენდამ გამოაშკარავა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობის სისუსტე მუშკოოპის თანამშრომელთა შორის. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ მუშკოოპის თანამშრომელთა უდიდეს ნაწილს არ აქვს შეგნებული თავისი მოვალეობა და იგი უხეშად ეპყრობა მომხმარებელს.

ზემო ჩამოთვლილი დეფექტები ცალ-ცალკე შეიძლება არც ისე მნიშვნელოვანი იყოს, მაგრამ როდესაც ამას სხვის მუშკოოპის თანამშრომელთა მეტად საგრძნობი ნაწილი, ეს უკვე აშკარა მავნებლობას უდრის. განსაკუთრებით მავნე და ამაღელვებელია ასეთი სისაძაგლე დღევანდელ სიძნელეების პირობებში.

...

ა. რამიშვილი.

საგადასახადო კამპანიის გარშემო

აღმოვფხვრათ სას.-სამ. გადასახადის კამპანიაში კლასობრივი ხაზის დამახინჯებანი

საგადასახადო კამპანიის ირგვლივ არ არის დარაზმული ღარიბი გლეხობა და მოჯამაგირეობა.—გორის ოლქში, კახეთში და ზუგდიდის რაიონში კულაკები ახერხებენ დასაბეგრი ობიექტების გადამალვას.—ზესტაფონის რაიონის საგადასახადო კომისიებში აღმოჩნდნენ კულაკები

მთლიანად დავბეგროთ კულაკობა.—არ დაუშვათ საშუალო გლეხობის გადაბეგვრა

სას.-სამ. გადასახადის კამპანიის დეფექტები

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანია ძლიერ ნელის ტემპით მიმდინარეობს; უკვე აგვისტო თავდება და ჯერ არც ერთ რაიონში საგადასახადო ფურცლები არ დარიგებულა. ჩვენს საფინანსო ორგანოებში დაბუდებული ბიუროკრატიზმი აბრკოლებს ამ უაღრესად რთული სამეურნეო-პოლიტიკური კამპანიის წარმატებით ჩატარებას.

უპირველესად ყოვლისა მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ საგადასახადო კამპანიის დეფექტებზე; უმთავრესი დეფექტი, ...

...ვი, მოჯამაგირენი და მოწინავე კოლმეურნენი,— განსაკუთრებით ისინი, რომელთაც კულაკების წინააღმდეგ ბრძოლაში გვიჩვენეს თავდადების და კლასიური სიმტკიცის მაგალითები.

გარდა ამისა უდიდესი სიფრთხილე უნდა იქნეს გამოჩენილი კულაკების დაბეგვრის დროს. სიფრთხილე ერთის მხრივ საჭიროა იმისათვის, რომ კანონის თანახმად მთლიანად დაიბეგროს კულაკურ მეურნეობათა მთელი შემოსავალი და მეორეს მხრივ არ იქნეს ...

...დასახადის გაწერის ტექნიკური აპარატი და სხვ.

დაუყოვნებლივ უნდა ჩატარდეს სას.-სამ. ობიექტების აღრიცხვა იმ სოფლებში ან უბნებში, სადაც ის ჩატარებული იყო არასრულად ან დამახინჯებით. გამოაშკარავებული უნდა იქნან ობიექტების გადამმალავნი (განსაკუთრებით კულაკები) და უნდა მოეწყოს მათი სალდელ-საჩვენებელი გასამართლება.

დაუყოვნებლივ უნდა გადაისინჯოს საგადასახადო კომისიების პირადი შემადგენლობა და გაძევებული უნდა იქნენ იქიდან კლასიურად უცხო და კულაკური ელემენტები. საგადასახადო კომისიებში გაყვანილი უნდა იქნან ღარიბი და საშუალო გლეხების აქტი...

...სტაფონის რაიონის ზოგიერთი უჯრედები და ცალკე პარტიულები აქტიურად არ იბრძვიან კულაკთა შემოსავლის წყაროების გამოსარკვევად და ზოგ შემთხვევაში მფარველობენ კიდეც მათ. მემარჯვენე პრაქტიკა, როგორც ყველგან ისე ამ შემთხვევაშიც წარმოადგენს უდიდეს საფრთხეს და მთელ პარტორგანიზაციის და კომკავშირის მასის ყურადღება სწორედ ამ გადახრის პრაქტიკულ გამოხატულებების წინააღმდეგ უნდა იქნას მიმართული.

ეჭვი არაა, რომ ასეთ პირობებში საგადასახადო კამპანია ჩატარებული იქნება კლასიური ხაზის მტკიცედ დაცვის პირობებში.

ა. კ—ი.

როგორ მიმდინარეობს საგადასახადო კამპანია

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიის მსვლელობის შესახებ საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატის სას.-სამ. გადასახადის განყოფილებაში ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობეს:

სას.-სამ. გადასახადის კამპანიას წელს გაცილებით უფრო რთული პირობები ჰქონდა, ვიდრე წინა წლებში. დასაბეგრ ობიექტების აღრიცხვა ჩვენში სწორედ იმ პერიოდში დაიწყო, როდესაც განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული ჰქონდა მთლიან კოლექტივიზაციის დროს დაშვებულ შეცდომების გამოსწორებას.

კამპანიის დაწყებამდე მთელ რესპუბლიკაში ჩატარებულ იქნა ფართო მოსამზადებელი მუშაობა: ადგილებს დაეგზავნათ პოპულარული ლიტერატურა, პლაკატები, ლოზუნგები და მითითებები. წელს პირველად გამოიცა ქართულ და რუსულ ენებზე სახკომსაბჭოს დადგენილების საფუძველზე შედგენილი მთლიანი ინსტრუქცია, რომელიც დაუყოვნებლივ გადაეგზავნა ადგილებს. კამპანიის დაწყების წინ ადგილებზე მოეწყო აღმრიცხველებისა და ფინმუშაკების გადამამზადებელი კურსები, რომელზედაც მსმენელებს განუმარტეს კანონი სას.-სამ. გადასახადის შესახებ და ამ კანონის შესრულების ტექნიკა. საგადასახადო კამპანიაში ჩაბმული და გამოყენებული იქნენ თვისთვის კამპანიისთვის ადგილებზე მიმაგრებული პასუხისმგებელი ამხანაგები.

კამპანიის დაწყებას წინ ადგილებს წინა...

...9 ძროხა. ცხადია, ეს ცნობები სინამდვილეს სრულიად არ შეეფერება, გლეხობამ გადამალა საქონელი, აღმრიცხველებმა კი გლეხების მიერ მოწოდებულ ცნობებს არავითარი კრიტიკა არ გაუწიეს.

აღრიცხვის პროცესში ადგილი ჰქონდა აგრეთვე კლასობრივი ხაზის უხეშ დამახინჯებებს: გორის ოლქში კულაკურ მეურნეობათა სიებში შეიტანეს არა მარტო საშუალო, არამედ მცირე შეძლების გლეხებიც კი. ახალციხისა და აჭარისტანის ადგილობრივმა ორგანოებმა დაადგინეს ინდივიდუალურად დასაბეგრთა სიებში არ შეეტანათ მაჰმადიანთა რელიგიის კულტმსახურნი. იყო აგრეთვე ცდები, რომ კულაკურ მეურნეობებში არ აღერიცხათ ისეთი შემოსავლის წყაროები, რომლებიც საშუალო გლეხობის შეღავათების გამო განთავისუფლებული არიან გადასახადისაგან (მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა, მეღორეობა და სხვ.). ზუგდიდის მაზრაში მოინდომეს კულაკურ მეურნეობებში მეაბრეშუმეობის განთავისუფლება გადასახადისაგან, ვინაიდან მეაბრეშუმეობას ქალები ეწევიანო და სხვ.

ყველა ეს დეფექტები იმით იყო გამოწვეული, რომ, ღარიბი გლეხობა არ იყო სათანადოთ ჩაბმული კამპანიაში. გარდა ამისა საგადასახადო კომისიები ადგილებზე არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდნენ საღრიცხვო მუშაობაში, მიმაგრებული ამხანაგების მეტი ნაწილი არავითარ ხელმძღვანელობას არ უწევდნენ კამპანიას, ხოლო ად...

...უფლო ხაზის და მეორეული ... ვარაუდევი იყო 1 მან. 20 კაპეიკის რაოდენობით, ხოლო ორ ცხენიანი ფურგუნის შემოსავალი 1—2 მანეთის რაოდენობით (კახეთსი, თბილისის ოლქში, სენაკის მაზრაში და სხვ.), როდესაც ფაქტიური დღიური შემოსავალი 8—12 მანეთს უდრიდა.

ადგილი ქონდა აგრეთვე მუშა და მეწველი საქონლის გადამალვას: სოფ. მუკუზანში 255 მეურნეობაში აღრიცხული იყო მხოლოდ 35 სული მუშა-საქონელი, 15 ცხენი და ...

...ნიისადმი.

ვინაიდან კულაკურ მეურნეობებს გამოკვეთ ნიშნებში შეტანილი იქნა სხვადასხვა ცვლილებები, ამ მეურნეობათა აღრიცხვა გრძელდება და დაახლოვებით ათ დღეში დამთავრდება.

ამჟამად სწარმოებს გადასახადის გამონაწერიშება და მახლობელ დღეებში გადამხდელებს ჩააბარებენ საგადასახადო ფურცლებს.

საგადასახადო კამპანია კახეთში
(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

სასოფლო- სამეურნეო საგადასახადო ობიექტების აღრიცხვა კახეთის ოლქში მთლიანად დამთავრდა. საღრიცხვო მუშაობის გატარებამდე ყველა ძირითადი საკითხები დამუშავებულ იქნა ფეითიულ სას.-საბჭოში ცალკე და შემდეგ სარაიონო ცენტრებში. მოხდა აგრეთვე სას. საბჭოებთან არსებულ საგადასახადო კომისიების გადასინჯვა და ზოგიერთი კომისიები მთლიანად გადაახალისებულ და გაწმენდილ იქნენ უვარგის და ...

მრიცხველთა ჯგუფის გაგზავნა კავკასიონის მთის საძოვრებზე ხსენებულ კულაკურ ბინების ცხვრის აღსარიცხავად, სადაც მიღებულ ზომების შემდეგ— მათი საქონელი და ცხვარი მთლიანად აღრიცხულ იქნა.

მთელი საღრიცხვო მუშაობა ადგილებზე დამთავრდა ივლისის პირველ რიცხვებში. ამის შემდეგ სწარმოებდა სიების განხილვა-დამტკიცება საგადასახადო კომისიებზე—ღარიბთა კრებებზე და საბოლოოდ სას. საბჭოებზე. ამ წესით განხილულ სიებში ...

...სხვა სოფლებში. ამრიგად 8 სასოფლო საბჭოში მოხდა ზოგან მთლიანი, ზოგან ნაწილობრივი ხელ-ახალი აღრიცხვა ობიექტებისა.

მეტად საგულისხმოა ის გარემოება, რომ მთლიანად ოლქი მასშტაბით საღრიცხვო კრებებზე გლეხობის დასწრების აქტიობა გაცილებით მეტი იყო, ვიდრე წარსულ წელს. ზოგიერთ სოფლების სასოფლო კრებებზე, სადაც ირჩეოდა გადასახადის ძირითადი კანონი,— იყო ცდა საღრიცხვო მუშაობის ჩაშლისა. ასე მაგალითად თელავის რაიონის ს. მატანში კულაკების ერთი ჯგუფი შეეცადა საღრიცხვო კომისიაში თავისი დამქაშების გაყვანას, მაგრამ ღარიბ-საშუალო გლეხთა ერთსულოვან და აქტიურ წინააღმდეგობით ეს ცდები ჩაშლილ იქნა.

ადგილი ჰქონდა აგრეთვე კულაკობის მიერ საღრიცხვო ობიექტების გადამალვის შემთხვევებს. ასეთი შემთხვევები აღრიცხულია და გადაცემულია სასამართლოზე სულ 30 საქმე: მოეწყო საჩვენებელი პროცესები ყვარელში, ახალ სოფელში და სხვა.

მეტად გაძნელებული იყო მიმდინარე წლის საღრიცხვო კამპანიის ჩატარების დროს მომთაბარე მეცხვარეობის აღრიცხვა. აღრიცხვის დაწყებამდე ზოგიერთ კულაკურმა მეურნეობამ მოასწრო ცხვრის გარეკვა მთაში. ამიტომ საჭირო შეიქმნა სპეციალურ აღ...

...გაზრდილია 23,5 პროც., რაც მიეწერება საშემდგომო და საგაზაფხულო თესვის კამპანიების წარმატებით ჩატარებას. ზრდის პროცესს ხელი შეუწყო აგრეთვე ტექნიკურ კულტურების ახალ ფართობების დამუშავებამ, როგორიცაა ბამბა, კენაფი და სხვა.

ხორბლეულის ნათესების ფართობი გაზრდილია 16 პროც.

ვენახების ფართობი აბსოლიუტურ რიცხვებში გაზრდილია 805 ჰექ. ე. ი. 12 პროც., რაც უმთავრესად უნდა მიეწეროს საბჭოთა მეურნეობების მიერ მიმდინარე სამეურნეო წელს ახალ ვენახების გაშენებას.

რქოსანი მუშა-საქონელი გაზრდილია 0,5 პროც., ხოლო პროდუქტიული საქონელი კი შემცირებულია 7,4 პროც.

საერთოდ საგადასახადო ობიექტების აღწერით მიმდინარე წელს ირკვევა, რომ მოსავლობის ვიოეზე შემოსავალი გაზრდილია 12,2 პროც., რაც აბსოლიუტურ ციფრებში შეადგენს 426,191 მან.

ასეთია მოკლედ კახეთში სას.-სამეურნეო გადასახადის ობიექტების აღწერის შედეგები.

გადასახადის სწორ გამონაწერიშებაზე და ყველა ტექნიკურ საკითხების სისწორით გადაჭრაზე დამოკიდებულია ამ გადასახადის აკრების წარმატებით ჩატარება მომავალში.

ლიბანელი.

მემარჯვენე ოპორტუნიზმი საგადასახადო კამპანიაში
(ზესტაფონი)

ზესტაფონის რაიონში სას.-სამ. გადასახადის ობიექტების აღრიცხვისათვის მოსამზადებელი მუშაობა სერიოზულად ჩატარდა. მიუხედავად ამისა ზოგიერთ პარტიულ ამხანაგებმა და სოფლებზე მიმაგრებულ პასუხისმგებელ მუშაკებმა ვერ გამოიჩინეს კლასობრივი სიმტკიცე აღნიშნული კამპანიის მომზადების საქმეში: სოფ. ალავერდის და კლდეთის უჯრედის წევრებმა ზედმეტად ...

მეურნეობებს და ხელს უწყობდა მათ ობიექტების გადამალვაში, ასევე იქცეოდა შორაპანში ფუთის უჯრედის მდივანი სარალიძეც. რაიონში ჩატარდა საღრიცხვო კომისიის გადახალისება იმის გამო, რომ იქ კულაკები და მათი დამქაშები აღმოჩნდნენ. ერთ-ერთ სოფელში იყო ცდა კულაკების სიაში შეეტანათ ის საშუალო გლეხები, რომელნიც კოლექტივებიდან გავიდნენ და სხვა.

...

საღრიცხვო კომისიას მისი მეზობელი და ნათესავი კულაკი უნდა დაებეგრა ინდივიდუალურად.

სოფელ საზანოში საღრიცხვო კომისიის წევრი, პარტიული ალექსანდრე ფიჩხაძე კომისიის სხდომაზე იცავდა კულაკურ ...

... მემარჯვენე ელემენტებს სათანადო ადგილი მიუჩინეს და კულაკები კი მიცემული არიან პასუხის გებაში. ამის შემდეგ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საგადასახადო კამპანია წარმატებით ჩატარდება.

დ. გაბრიაძე.

საქ. კომკავშირმა შეფობა აიღო
საყოველთაო სავალდებულო სწავლებაზე

საქ. კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი თავის დადგენილებაში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ აღნიშნავს, რომ საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღება „არის უდიდესი გამარჯვება არა მარტო კულტურულ, არამედ სამეურნეო ფრონტზედაც" (სტალინი). კომკავშირის ორგანიზაცია, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს კულტურულ რევოლუციის ამოცანების განხორციელებაში, შეფობას იღებს საყოველთაო-სავალდებულო პირველ დაწყებითი სწავლების ჩატარებაზე. შეფობის აღება ავალებს კომკავშირის ორგანიზაციას, რომ მან მოახდინოს მოზარდ ბავშთა მასების შე...

...ბი დურგლების, ზეინკლების და სხვათა მონაწილეობით.

მიმდინარე წლის შემოდგომაზე კომკავშირის ხელმძღვანელობით, ამ საქმისათვის უნდა დაითესოს 6.000 ჰექტარი მიწა, აქედან მიღებული შემოსავალი მოხმარდება სკოლებს.

რაიონულ კომიტეტებმა თავიანთ თავზე უნდა აიღონ ინიციატივა საღამოების, სეირნობების, კინო-სეანსების და სხვა გასართობების მოწყობაში — საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ფონდის, გასაძლიერებლად.

კომკავშირის ადგილობრივ ორგანიზაციებმა მაქსიმალური დახმარება უნდა აღმოუ...

ცენტრალური აპარატის რეორგანიზაცია
(თათბირი მ. გ. ინსპექციაში)

მუშათა და გლეხთა ინსპექციაში ამხ. ი. ვარძიელის თავმჯდომარეობით შესდგა ამიერ - კავკასიის და საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებათა წარმომადგენლების თათბირი ოლქების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით ცენტრალური აპარატის გარდაქმნის შესახებ. ამხ. ვარძიელის შესავალ სიტყვის შემდეგ ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელმა ამხ. ა. რამიშვილმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ოლქების ლიკვიდაცია წარმოადგენს არა აპარატის რომელიმე საფეხურის უბრალო რეფორმას, არამედ აპარატის მთელი სისტემის და მმართველობის ისე გარდაქმნას, რომ ეს აპარატი საქმებით უპასუხებდეს სახ. მეურნეობის და სოციალისტური მშენებლობის მოთხოვნილებებს. ეს რეორგანიზაცია აუცი...

ციონალურად და მარტივად მოწყობა და მაქსიმალურად გაიაფება.

ამ მიზნით უნდა მოხდეს მმართველობის მაქსიმალური დეცენტრალიზაცია, რომ სახელმწიფო მმართველობა მისაწვდომი გახდეს მშრომელთა ფართო მასებისათვის, რომ მმართველობის ძირითადი ორგანოები დაუახლოვოთ მასებს, ეს ორგანოები ვაქციოთ თავისი რაიონების სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ცენტრებად და სახელმწიფო აპარატის მუშაობაში მტკიცეთ დავიცვათ კლასობრივი ხაზი.

მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა - გამოცვლა. თათბირმა წინადადება მისცა ამიერ - კავკასიის ფედერატიულ და საქართველოს რესპუბლიკანურ ცენტრალურ დაწესებულებებს დაჩქარებით დაამთავრონ თავისი აპარატების რეორგანიზაციის საკითხის დამუშავება. რეორგა...

...ების საბჭოების ქვედა საფეხურის ორგანოებში გადაჯგუფებას და ცენტრალური აპარატის საერთო ხელმძღვანელობის, გეგმიანობის, ინსტრუქტაჟის და კონტროლის ფუნქციების გაძლიერებას. ამიტომ ცენტრალური აპარატის სტრუქტურა, მუშაობის ტექნიკა და მეთოდი ისე უნდა შეიცვალოს, რომ აპარატმა წარმატებით შესძლოს მისი ახალი ფუნქციების შესრულება. საჭიროა ცენტრალურ დაწესებულებათა გამარტივება, შტატების გაბერვის მოსპობა, ცენტრალურ აპარატების მუშაობაში პარალელიზმის აღმოფხვრა, ხელმძღვანელების უფრო დაახლოვება აღმასრულებლებთან, დავალებათა შესრულების კონტროლის გაძლიერება და მუშათა და გლეხთა დაწინაურების ფართოდ დაყენება.

ცენტრალური აპარატის რეორგანიზაციის საფუძვლად უნდა დაედოს ამ აპარატის რა...

...წესებულებებმა უნდა წარმოადგინონ არა უგვიანეს 1 სექტემბრისა, ხოლო ფედერატიულმა დაწესებულებებმა არა უგვიანეს 5 სექტემბრისა.

რეორგანიზაციის სახელმძღვანელოთ გამოყოფილ იქნა ორი კომისია, ერთი საქართველოსთვის და ერთი ამიერ - კავკასიისათვის.

რესპუბლიკანურ კომისიაში არჩეულ იქნენ ამხ. ა. რამიშვილი (თავმჯდომარე), დ. ქურულორია, ვ. გვიჩია, ფინანსთა და შრომის კომისარიატების და საქართველოს პროფსაბჭოს წარმომადგენლები.

ა.-კ. კომისიაში არჩეული არიან ამხ. ი. ვარძიელი (თავმჯდომარე), იაროსლავსკი, ფირალოვი, კრენბლიტი, ა.-კ. ფინანსთა და ა.-კ. შრომის კომისარიატების და ა.-კ. პროფსაბჭოს წარმომადგენლები.

ზესტაფონის ახალი ხელმძღვანელები

ზესტაფონი, 27 აგვისტო. (საკ. კორ. ოლქების გაუქმებასთან დაკავშირებით შესდგა ზესტაფონის აღმასკომის და სხვა ორგანიზაციების პლენუმები. ს. კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომის მდივნად არჩეულია ამხ. ვარლამ ზერიძე, ხოლო საორგანიზაციო განყოფილების გამგეთ ამხ. კ. პოპოვი; კომკავშირის რაიკომის მდივნად არჩეულია დომენტი დანელია, რაიაღმასკომის თავმჯდომარედ—ნიკოლოზ შარიქაძე, საადგილმამულო განყოფილების გამგეთ გრიშა აბულაძე (მუშა), საფინანსო განყოფილების გამგეთ ივანე ტყემალაძე, მუშგლეხინსპ თავმჯდომარედ არჩეულია ვალოდია კოკაჩიშვილი, განათლების ინსტრუქტორად მიხა ტაბატაძე და ჯანმრთელობის ნაწილის გამგეთ ექ. ანანოვი.

დ. ბ—ძე.

წითელ ჯარში გაწვევის წინ

გაწვევა წითელ ჯარში დაიწყება 16 სექტემბრიდან

ამ თავითვე ვიზრუნოთ შესავსებ პუნქტების მოწყობაზე.—მოვამარაგოთ პუნქტები ლიტერატურით და მასალებით ცნობების მიწოდებისათვის გაწვევის ირგვლივ

ყურადღება შესაკრებ პუნქტებს

მოახლოვდა წითელ ჯარში მორიგი გაწვევის დრო. ორი კვირის შემდეგ 1908 წელში დაბადებული ახალგაზრდები მიაშურებენ წითელ ყაზარმას, რომ შეისწავლონ სამხედრო საქმე და შესძლონ იარაღით ხელში დაიცვან წითელი საზღვრები.

მოსამზადებელი მუშაობა გაწვევისათვის დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს თითქმის ყველა რაიონში. ეხლა საჭიროა, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს გაწვევის ორგანიზაციას, ახალწვეულთა გამოცხადებას შესაკრებ პუნქტებზე. ამ მხრივ გასულ წლებში დაშვებული იყო მრავალი შეცდომა. შესაკრები პუნქტები ბევრ ადგილას არ იყო სათანადოთ მოწყობილი, პუნქტებზე არ მიმდინარეობდა კულტურ-პოლიტიკური მუშაობა. საზოგადოებრივი და პარტორგანიზაციები არ იღებდენ მონაწილეობას პუნქტების მოწყობაში და მუშაობაში გასაწვევთა შორის. წრეულს ეს შეცდომები არ უნდა იქნეს დაშვებული.

გაწვევაში უახლოესი მონაწილეობა უნდა მიიღოს მთელმა საბჭოთა საზოგადოებრიობამ. პარტიულ, კომკავშირის, პროფესიონალურ და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახმარებით უნდა მივაღწიოთ გასაწვევთა 100 პროცენტით გამოცხადებას შესაკრებ პუნქტებზე. ახალწვეულთა გაცილებას უნდა მიეცეს საზეიმო ხასიათი. სოფლად და ქალაქად უნდა მოეწყოს საზეიმო მიტინგები, საღამოები. უსასტიკესი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ყოველგვარ უწესრიგობას, ხულიგნობას, ლოთობას, ძველი „სალდათობის" ყოველგვარ ნაშთს. კულაკური და ანტისაბჭოთა ელემენტები შეეცდებიან შეიტანონ არევ-დარევა გასაწვევთა გამოცხადებაში წერტებზე. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ სათანადო პასუხი გავსცეთ მათ პროვოკაციებს.

ამთავითვე საჭიროა ზრუნვა შესაკრებ პუნქტების მოწყობაზე. შესაკრები პუნქტი —ეს პირველი საფეხურია, რომელიც უნდა გაიაროს ყოველმა ახალწვეულმა ყაზარმაში მისვლამდე. პარტიულმა და კომკავშირის ორგანიზაციებმა უნდა გამოჰყონ ამხანაგები, რომლებსაც დაევალებათ სააგიტაციო და ახსნა-განმარტებითი მუშაობის წარმოება შესაკრებ პუნქტებზე. პოლიტსაგანმანათლებლო ორგანიზაციებმა უნდა მორთონ პუნქტები პლაკატებით, ლოზუნგებით, მოამარაგონ ისინი ლიტერატურით.

პუნქტებზე ფართოდ უნდა გაიშალოს ახსნა-განმარტებითი მუშაობა. ამისათვის გამოყოფილი უნდა იქნეს სათანადოთ მომზადებული ამხანაგები. პუნქტებზე უნდა მოიძებნებოდეს მაღალა ახსნა-განმარტებითი მუშაობის საწარმოებლად.

ხელოვნების მუშაკთა კავშირმა პუნქტებზე უნდა მოაწყოს მხატვრული საღამოები სათანადოთ შერჩეული პროგრამით. სახკინმრეწვმა უნდა იზრუნოს კინო-სურათების მოწყობაზე.

გაწვევასთან დაკავშირებით დიდი მუშაობის ჩატარება ეკისრება კოოპერაციას. რკ. გზის სადგურებზე გასაწვევთა მგზავრობის დროს უნდა მოეწყოს ფარდულებ, რომლებიც მომარაგებულნი უნდა იქნენ ყოველნაირი სანოვაგით. გასაწვევი წერტება უზრუნველყოფილი უნდა იქნენ ყველა საჭირო საგნებით და სანოვაგით.

გაწვევამდე დარჩა მხოლოდ ორი კვირა. ეს დრო მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული მოსამზადებელი მუშაობისათვის, რისთვისაც დაჩქარებით უნდა გატარდეს ცხოვრებაში უმაღლესი ორგანოების დადგენილებები და მითითებები.

ა. ვ—ლი.

ხადდნენ ჯანმრთელობის შესამოწმებლად გორის შესაკრებ წერტზე 16, 17, 18, 19, 21, 22, 23, 24, 26, 27, 28, 29 სექტემბერს და 1 ოქტომბერს.

[illegible]

პასუხი უნდა მოეთხოვოს

გორის ოლქი

ინსტრუქციაში, რომელიც დაუგზავნეს სამხედრო კომისარიატებმა სოფლის საბჭოებს, გარკვევით არის ნათქვამი, რომ საშეღავათო მოწმობების შედგენის დროს სოფლის საბჭოებმა უნდა იხელმძღვანელონ მეტრიკულ ამონაწერებით, რათა მოწმობებში არ იქნეს შეტანილი ყალბი ცნობები. საშეღავათო მოწმობებში სწორი ცნობების შეტანას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ მოწმობების მიხედვით გამწვევი კომისია ანაწილებს შეღავათებს.

მიუხედავად ამისა, ლამისყანის და მეტეხის სოფლის საბჭოების მიერ გაცემულია ... სამხედრო სამსახურიდან საკადრო ნაწილში. სინამდვილეში კი აღმოჩნდა, რომ გასაწვევის ძმა ნიკო არის არა 17, არამედ 20 წლისა. იმავე სოფლის საბჭოს მიერ გაცემულია მოწმობა იმავე 604 ნომერით გენო გურნიშვილის სახელზე, სადაც გასაწვევის ძმა ნაჩვენებია 14 წლისა. ნამდვილად კი გასაწვევის ძმა არის 19 წლისა.

ასეთივე მოწმობები ყალბი ცნობებით გაცემულია მეტეხის სოფლის საბჭოს მიერ. მოწმობაში ვასო ლომიაშვილის სახელზე (№1554) ნაჩვენებია, რომ გასაწვევს ჰყავს 57 წლის მამა, მაშინ, როდესაც მამა არის ...

[illegible]

გაწვევის ირგვლივ

[illegible]

ჩვენი წითელი არმია

სწავლობენ კავშირგაბმულობის საქმეს

ქ უ თ ა ი ს ი

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

უმსგავსოებანი აგურის ქარხნებში

ყოფ. ვაჭრები და ანტისაბჭოთა ელემენტები არტელებში.—6 „სპეცი" 5 მუშის ხელმძღვანელად.—აგურის დამზადება საფრთხეშია

ტყლაპუტის ა.ლ.კ.კ. უჯრედთან არსებულ „მსუბუქ კავალერიის" ჯგუფმა მოახდინა „თავდასხმა" აგურის ქარხნებზე. მას მიზნად ჰქონდა გამოერკვია უმთავრესად ორი საკითხი: ვის ხელშია ქარხნების ბედიღბალი და რამდენად დაინტერესებულნი არიან ამ საწარმოთა ხელმძღვანელები მიაწოდონ მშენებლობას აგურის საკმარისი რაოდენობა; არის თუ არა წარმოებებში გაშლილი სოცშეჯიბრება და დამკვრელობა და სრულდება თუ არა ამ საფუძველზე საწარმოო გეგმები.

ქუთაისში არსებული კერძო აგურ-ქარხნები კომკავშირელ მუშების ინიციატივით გადაიცა კოოპერატიულ არტელებს. ...

მის პირობები, მუშების სამუშაო დღე გამოუსაზღვრელია (ხშირად ისინი მუშაობენ 14-16 საათს), მათ არ ეძლევათ არც შვებულება და არც შრომის კანონით გათვალისწინებული სხვა შეღავათები. კულტმუშაობა მუშებს შორის არ სჩანს, კულტმუშაკად გამოყოფილია ვინმე აბაშიძე, რომელიც ქალალდის თამაშის მეტს არაფერს აკეთებს. საწარმოო-საფინანსო გეგმას მუშები არ იცნობენ და სხვ. ამის შედეგად მივიღეთ ის, რომ ქარხანა, „შეკავშირება"-მ ნაცვლად 1.690.000 ცალი აგურისა, დაამზადა 703.520 ცალი, ესე იგი გეგმით გათვალისწინებულზე 986.480 ცალით ნაკლები.

[illegible]

... ქარხნებში. სხვანაირად არ შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ არტელ „შეკავშირება"-მ „დაამზადა" და გაუგზავნა სალშ. ორგანიზაციებს თბილისში სამი ვაგონი გამოუწვავი აგური. მართალია, არტელ „შეკავშირება"-ს სათავეში უდგას დაწინაურებული მუშა-ზეინკალი ,პარტიის წევრი ამხ. ბახტაძე, მაგრამ იგი სავსებით არ იცნობს აგურის დამზადების საქმეს, ამიტომაც ადვილად ექცევა აგურის „სპეცების" გავლენაში.

წარმოებაში სავსებით არ არის გაშლილი სოცშეჯიბრება, არ არის დაცული შრომის ...

... ვიდა გამსახლიდან) და სხვ.

აი მეორე ფაქტიც იმისა, თუ როგორ ამართლებს „ეკონომია" თავის სახელწოდებას: არტელი „შეკავშირება" ყიდის 1.000 ც. აგურს 50 მანეთად, „ეკონომია" კი ალბათ ფულების „ეკონომიის" თვალსაზრისით 1.000 ც. აგურს 70 მანეთად ჰყიდის.

საჭიროა მუშგლეხინმა კარგად გამოიკვლიოს ეს ქარხნები და ერთხელ და სამუდამოდ აღკვეთოს ის უმსგავსოებანი, რომელიც ხდება.

ვ—ლი

რიონჰესის სამუშაოებზე

მიმდინარე წელს ენერგოცენტრის მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით, რიონჰესის მშენებლობა მაქსიმალური ტემპით უნდა გაიშალოს. ამჟამად დაკვრითი წესით მიდის მუშაობა სადერივაციო არხზე, საგუბარზე და საგენერატორო სადგურზე. სათავისა და გვირაბების შენება უკვე დამთავრებულია.

მიუხედავად მუშაობის ასეთი ტემპისა, წლიური საწარმოო გეგმის შესრულებას მაინც საფრთხე მოელის, რამაც, მოსალოდნელია, შეაფერხოს მშენებლობის გათვალისწინებულ ვადაზე დამთავრების საქმე.

გეგმის შესრულების მთავარი ხელისშემშლელი მიზეზია საამშენებლო მასალის სიმცირე. შეკვეთილი 120 ათასი კასრი ცემენტის ნაცვლად მიმდინარე წელს რიონჰესის მშენებლობა მიიღებს მხოლოდ 64 ათას კასრ ცემენტს, ე. ი. 54 პროც. დაკვეთილი 493 რკინეულის ნაცვლად მიმდინარე სამეურნეო წელს მიღებული იქნება მხოლოდ 165 ტონა რკინეული, ე. ი. დაკვეთის 34 პროც. საგრძნობია აგრეთვე სხვა მასალების —კუახედი რკინეულის, რელსების, ფართო ლიანდაგიანი ბაქანების და სხვ. უქონლობაც.

რიონჰესის მშენებლობა განიცდის კვალიფიციურ მუშა-ხელის (დურგლების და მღებავების) დიდ ნაკლებობასაც. არ არის საკმარისი აგრეთვე მიწის მთხრელებისა და საერთოდ შავი მუშების რიცხვიც. მიუხედავად იმისა, რომ არა ერთხელ იყო აღძრული ეს საკითხი შრომის სახ. კომისარიატის და პროფსაბჭოს წინაშე, დღევანდლამდე რიონჰესის მშენებლობა მაინც არ არის უზრუნველყოფილი მუშა-ხელით.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ადგილობრივი კოოპერაცია. ის ვერ აწვდის მუშებს პირველმოთხოვნილების საქონელს, რაც, ბუნებრივია, იწვევს მუშახელის ცვალებადობას და გავლენას ახდენს შრომის ნაყოფიერებაზე.

მშენებლობა სილისა და ხრეშის ნაკლებობასაც განიცდის, რადგან რკ. გზა ვერ აწვდის ვაგონების საკმაო რაოდენობას რიონჰესს ამ მასალის მოსაზიდად.

ამ დეფექტების აღმოსაფხვრელად და მშენებლობის ტემპის გასაძლიერებლად სამთავრობლოს მიღებული აქვს მთელი რიგი ღონისძიებანი.

ვ—ლი

სესხი „ხუთწლედი—ოთხ წელიწადში"

ქუთაისის ყოფილ ოლქში ახალ სესხზე (5 წლედი 4 წელში) ხელისმოწერის კამპანიისათვის მოსამზადებელი მუშაობა სოფლად დამთავრდა 15 აგვისტომდე, რის შემდეგაც დაიწყო ხელის მოწერა.

კოლმეურნეობების წევრებსა და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეებს ერთსულოვნად გამოაქვთ დადგენილებები, შეიძინონ ახალი ობლიგაციები. **ზოგი რაიონი მოითხოვს ობლიგაციებს ნაღდ ფულზე. ცენტრიდან მიღებულია 50.000 მან. ობლიგაცია ნაღდ ფულზე გასაყიდათ, მაგრამ ეს საკმაო არ აღმოჩნდა. საჭიროა ობლიგაციების კიდევ დამატებით გადმოგზავნა.**

ობლიგაციების განაღდების საქმეში მოისუსტებენ ქუთაისის, ჩხარის, ონის, სამტრედიის რაიონები. საჭიროა ამ რაიონების ორგანიზაციებმა გამოაცოცხლონ მუშაობა სესხის გავრცელების დარგში და არ ჩამორჩნენ მეზობელ რაიონებს.

ქ უ თ ა ი ს ი ს ქ რ ო ნ ი კ ა

სოფლების ელექტროფიკაცია

ქუთაისის საელექტროფიკაციო ბიურომ შეიმუშავა ელექტრო-ენერგიის მიწოდების გეგმა ქალაქის ახლო მდებარე სოფლებისათვის, როგორიცაა—ბაღდათი, ფერსათი, ღვიმი, კულაში, ლანირი, პატრიკეთი, ჯიხაიში და სხვ.

პროექტები ნაწილობრივ დამტკიცებულია. თანხების მიღებისთანავე ბიურო შეუდგება მუშაობას მათ განსახორციელებლად.

სასილოსე ორმოები

ს.ა.ლ.კ.კ. ონის რაიკომის ბიურომ მიიღო დადგენილება—მოაწყოს რაიონში ოცი სასილოსო ორმო. სორის კომუნაში უკვე დაიწყო ორმოების გათხრა.

საამშენებლო სკოლა

აღმშენებელთა კავშირის ცენტრალური გამგეობა ქუთაისში ხსნის სადაბრიკო-საქარხნო სკოლას 150 კაცისათვის. სკოლასთან მოეწყობა ინტერნატი. სწავლა დაიწყება ოქტომბერში.

თუჯის ჩამომსხმელი ქარხანა

ქუთაისში შენდება თუჯის ჩამომსხმელი ქარხანა, რომელსაც აგებს მუშკოოპი. ქარხნის შენობა დამთავრდება 2-3 თვეში. ქარხანა დაამზადებს ღუმელის თავებს, უთოებს, ბორბლებს და დიდი მანქანის ნაწილებს.

საქ. მთიელთა კულტურული საზ.-ბის ყრილობა

გუშინწინ და გუშინ საღამოთი გრძელდებოდა კამათი ცენტრალური გამგეობის მუშაობის გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღო დელეგატების უმრავლესობამ.

ორატორები მიღწევებთან ერთად აღნიშნავდნენ იმ ნაკლოვანებებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ცენტრალური გამგეობის მუშაობაში.

კამათიდან გამოირკვა, რომ ცენტრალური გამგეობის ხელმძღვანელობა საზოგადოების ადგილობრივ უჯრედებზე სუსტი იყო. ძალზე მოისუსტებდა პარტიული ხელმძღვანელობაც საზოგადოებას ადგილობრივ ორგანიზაციებზე, ამის გამო მთიელთა საზოგადოების წევრები ნაკლებ მონაწილეობას იღებდენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში, რომელსაც პარტია და ხელისუფლება ეწევიან ადგილებზე.

ცენტრალური გამგეობის აპარატის მუშაობა მოკლებული იყო კონტროლს სარევიზიო კომისიის მხრივ. კოლეგიალური მუშაობის პრინციპი ცენტრალურ გამგეობაში საკმაოდ არ იყო დაცული.

განსაკუთრებით მოისუსტებს საზოგადოების საგამომცემლო ნაწილი. საზოგადოების არსებობის მანძილზე გამოცემული იქნა მხოლოდ 3 წიგნი. მრავალტირაჟიანი გაზეთი, რომელსაც უშვებს ცენტრალური გამგეობა, ვერ აკმაყოფილებს მკითხველებს.

რაც შეეხება სავაჭრო და საწარმოო საქმიანობას, ორატორების მნიშვნელოვანი ნაწილი საჭიროდ სცნობს არსებულ სავაჭრო და საწარმოო წერტების მუშაობის გაჯანსაღებას; გარდა ამისა, ორატორები მოითხოვდნენ მეტი თანხების გაღებას კულტმუშაობის საწარმოებლად, რადგანაც კულტურული დარგი ჩამორჩენილია სავაჭრო-საწარმოო დარგთან შედარებით.

სოფლის მასწავლებლების მდგომარეობის გაუმჯობესება

სოფლის მასწავლებლებად უმთავრესად ითვლებიან 4 წლედის მასწავლებლები, რომელთა მატერიალური მდგომარეობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი.

ქალაქის 4 წლედების მასწავლებელთა მდგომარეობა შედარებით უკეთესია. ქალაქის 4 წლედების მასწავლებელთა ხელფასი საერთოდ აღემატება 65 მანეთს (თბილისში კი 70 მ.), ხოლო სოფლის 4 წლედებში მასწავლებელთა ხელფასი საშუალოდ უდრის 50 მანეთს.

არის შემთხვევები, როცა მასწავლებლებს ხელფასი დროზე არ ეძლევათ. ადგილობრივი აღმასკომები მასწავლებელთა ხელფასისათვის დანიშნულ თანხებით ხშირად ფარავენ სხვადასხვა ხარჯებს და მასწავლებლებს კი 2-3 თვით ალოდინებენ.

აღსანიშნავია, რომ სოფლად მომუშავე მასწავლებლების უფლებრივი მდგომარეობა ჩამორჩენილია ქალაქის მასწავლებლებთან შედარებით. მაშინ, როცა ქალაქის მასწავლებლები სარგებლობენ ყოველგვარი კომუნალური შეღავათებით, სოფლის მასწავლებლები ამას მოკლებულნი არიან.

განათლების სახ. კომისარიატმა, საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით, შეიმუშავა სოფლის მასწავლებლების ქონებრივი და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების გეგმა.

მომავალ 1930-31 წლიდან სოფლის მასწავლებლებს მიეცემათ თვეში 67 მანეთი, ხოლო ქალაქისას—80 მანეთი. გარდა ამისა სოფლის მასწავლებლებს ყოველწლიურად მიემატებათ შესაფერი პროცენტები იმ ვარაუდით, რომ მათი თვიური ხელფასი 5 წლის ბოლოს გაუთანასწორდეს კვალიფიციურ მუშის ხელფასს—130 მან.

ამასთანავე, მასწავლებლებს მიეცემათ ყოველ ნამსახურევ 5 წლის შემდეგ განსაზღვრული პროცენტი ჯილდოს სახით.

გეგმა აგრეთვე ითვალისწინებს სოფლის მასწავლებლების ზედმეტ საზოგადოებრივ მუშაობისაგან განტვირთვას, რათა მათ საშუალება ეჩნეთ ნაყოფიერათ იმუშაონ სკოლებში.

მომავალ წლიდან სოფლის მასწავლებლებს მიეცემათ კომუნალური დახმარებაც.

სამოსწავლო წლის დაწყების წინ

სას.-სამ. ინსტიტუტში

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა დაამთავრა სასწავლო გეგმების შედგენა, რომლებიც უკვე წარდგენილია დასამტკიცებლად. ამჟამად სწარმოებს სასწავლო საათებისა და ლექციების დაჯგუფება.

ინსტიტუტის ყველა კურსებზე სწავლა დაიწყება 1 ოქტომბერს. 5 სექტემბერს დაიწყება მიმდინარე წლის პირველ კურსზე მიღებული სტუდენტების საექიმო შემოწმება. 10 სექტემბრიდან კი მათი სამხედრო მომზადება.

ინსტიტუტის ყველა ფაკულტეტებზე სწავლა იწარმოებს ქართულ ენაზე. სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია-მექანიზაციის ფაკულტეტზე სწავლა იწარმოებს პარალელურად რუსულ ენაზედაც. საჭირო მოწყობილობისა და ჯგუფების ხელმძღვანელთა კადრის უქონლობის გამო წელს ინსტიტუტი მთლიანად ვერ აწარმოებს ლაბორატორიულ სისტემას და სწავლა იწარმოებს ნახევრად ლექციებისა და ნახევრად ლაბორატორიული წესით. ამასთან ერთად ინსტიტუტს მიღებული აქვს ზომები, რომ შემდეგ სამოსწავლო წელს განხორციელდეს სწავლების მთლიანი ლაბორატორიული მეთოდი.

დამდეგი სამოსწავლო წლისათვის ინსტიტუტი უკვე მზად არის როგორც კაბინეტებით, ლაბორატორიებით და სხვა მოწყობილობით, ისე პროფესორებისა და პედაგოგიური პერსონალის შემადგენლობით. ინსტიტუტს მიღებული აქვს აგრეთვე პრაქტიკული ზომები სასწავლო წიგნებისა და სამეცნიერო სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე გამოსაცემად. ინსტიტუტის ინიციატივით უმაღლესი კვალიფიკაციის პედაგოგიური პერსონალი შეუდგა სხვადასხვა სახელმძღვანელო წიგნების შედგენას. ნაწილი სახელმძღვანელოებისა უკვე გამოცემულია, ნაწილი ახლო მომავალში გამოიცემა. ჯერჯერობით კიდევ რიგია საგნები, რომლებშიაც სტუდენტები იძულებული იქნებიან რუსული სახელმძღვანელოებით ისარგებლონ.

ინსტიტუტი ზაფხულის განმავლობაში დიდ ყურადღებას აქცევდა საწარმოო პრაქტიკას და სამეცნიერო ხასიათის ექსკურსიებს. ზაფხულის განმავლობაში ყველა ფაკულტეტების სტუდენტები იგზავნებოდნენ საწარმოო პრაქტიკაზე სათანადო საბჭოთა, კოლექტიურ და კოოპერატიულ მეურნეობებში. გარდა ამისა მოეწყო აკადემიური ხასიათის ექსკურსიები, როგორც ამიერ-კავკასიის, ისე საბჭოთა კავშირის ღირსშესანიშნავ კუთხეებში (სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით).

მომავალ სამოსწავლო წელს ინსტიტუტს განზრახული აქვს საწარმოო პრაქტიკის უფრო ფართოდ დაყენება.

სტიპენდიებითა და კონტრაქტაციით წელს უზრუნველყოფილი იქნება სასოფლო-სამ. ინსტიტუტ. 800-დე სტუდენტი. სტუდენტთა საერთო საცხოვრებელ კომუნისათვის გამოყოფილია ინსტიტუტის შენობის ნაწილი, სადაც 200-დე სტუდენტი მოთავსდება. გარდა ამისა ინსტიტუტის სტუდენტებს ადგილები დაეთმობათ სხვა საერთო საცხოვრებელ სახლებშიც.

რ ა დ ი ო-გ ა დ ა ც ე მ ა

ხუთშაბათი, 28 აგვისტო

დილით 8 ს. 30 წ. 10 საათამდე ქალაქის სატრანსლიაციო ქსელით გადაცემული იქნება „მუშათა შუადღე". პროგრამაში ახალი ამბები და კონცერტი.

საღამოთი 10 კილოვატიანი რადიო-სადგურიდან გადაცემულ იქნება: 19 საათიდან 19 ს. 25 წუთამდე პიონერთა და მოსწავლეთა საათი, ქართულ ენაზე; 19 ს. 25 წ.—20 ს. 05 წუთამდე რადიო-გაზეთი, ქართულ ენაზე; 20 ს. 05 წ.—20 ს. 55 წუთამდე, გადაცემა სოფლისათვის: აღმოსავლური მუსიკის საათი, დროის შემოწმება, 20 ს. 55 წ.—21 ს. 25 წუთამდე—გაზეთი „კრასნი ვოინ" რადიოთი, რუსულ ენაზე; გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები; 21 ს. 30 წ.—24 საათამდე. სიმფონიური კონცერტის ტრანსლიაცია, რეკლამა ანტრაქტებში, უკანასკნელი ცნობები.

ქ რ ო ნ ი კ ა

ტყეების გადაცემა ამიერ-კავკ. ს.მ.უ. საბჭოსათვის

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს დადგენილების (ტყეების ამიერ-კავკ. ს.მ.უ. საბჭოსთვის გადაცემის შესახებ) განსახორციელებლად ამიერ-კავკ. სატყეო მრეწველობის ტრესტმა თავის რწმუნებულად გამოჰყო ამხ. ტატევოსიანი, სომხეთის მიწადმოქმედების კომისარიატმა ამხ. მუშეგიანი და ხბორშიკოვი, ხოლო სამხრეთ-ოსეთმა ამხ. ჯანაძე და ძასოხოვი.

სტუდენტების გაგზავნა სოფლად

აგრორწმუნებულის გადარჩევა-გადამზადებაში და შემოდგომის თესვის კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად მიწადმოქმედების სახ. კომისარიატი რაიონებში გზავნის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის უკანასკნელი კურსის 100 სტუდენტს.

მოჯამაგირეები მეურნეობაში

მიწა-ტყის მუშაკთა კავშირი ნოემბერში ხსნის მოჯამაგირეთა მოსამზადებელ კურსებს. კურსდამთავრებული მოჯამაგირეები გაიგზავნებიან მეურნეობებში.

რამდენი ტრაქტორია საქართველოში

საქართველოში ტრაქტორების შემოზიდვა დაიწყო 1923 წლიდან. ამ წელს შემოტანილი იქნა 42 ტრაქტორი. ტრაქტორების რიცხვი ამჟამად აღემატება 520.

ეს ტრაქტორები განაწილებულია შემდეგნაირად: ლაგოდეხის სამანქანო-სატრაქტორო კოლონებში მუშაობს 28 ტრაქტორი, ოფენის—20, შილდის—8, შირაქის—26, ყარაიას—18 და სუფსის—9. სულ კოლონებში მუშაობს 109 ტრაქტორი.

სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს გადაეცემული აქვთ 113 ტრაქტორი. აქედან ბოლნისის სამანქანო-სატრაქტორო სადგურში—74, აგარის—19 და აბაშის სატრაქტორო სადგურში—40 ტრაქტორი.

მე-2 სახელ. დრამის თეატრის შეკეთება

მეორე სახელ. დრამის თეატრის საფუძვლიანად შესაკეთებლად სახ. კომისართა საბჭომ გადადო 80.000 მანეთი.

სხვადასხვა

✦ **უმ. სასწავლებლების რეორგანიზაცია.** უმაღლეს სასწავლებლების რეორგანიზაციისათვის დამატებით გადადებულია 607.000 მანეთი.

✦ **სასოფლო-სამეურნეო მუშფაკში** მისაღები გამოცდები დაიწყება 1 სექტემბერს. ვინც 1 სექტემბერს არ გამოცხადდება, გამოცდებზე არ იქნება დაშვებული. სასოფლო-სამეურნეო მუშფაკში სწავლა დაიწყება 15 სექტემბერს.

✦ **კოლმეურნეთა მომზადება.** აჭარისტანის კოლმეურნეობებისათვის ახალი კადრების მოსამზადებლად ბათომში იხსნება სპეციალური კურსები.

შ ე მ თ ხ ვ ე ვ ე ბ ი

დაჯახება

ლოტკინის გორაზე ავტომობილი, რომელსაც მართავდა შოფერი გენადი სტეფანოვსკი, დაეჯახა ვანო ალექსიძეს, რომელიც მსუბუქად დაშავდა. ალექსიძეს აღმოუჩინეს საექიმო დახმარება და მოათავსეს წითელი ჯვრის საავადმყოფოში.

ჯიბგირობა

ალექსანდრე ლუკავას ცენტრალურ ბაზარში ჯიბიდან ამოაცალეს 180 მან.

ქურდობა

გაქურდეს ალექსანდრე კარგარეთელის ბინა (რევოლუციის ქუჩა № 17), საიდანაც მოიპარეს 2.000 მან. საოჯახო ნივთები;— ტრიფონ შილოვს (პროლეტარის ქუჩა № 40) მოჰპარეს 200 მან. ნივთები;—სიდონია ჩხეიძეს ბინიდან (რუსთაველის ქუჩა № 52), მოიპარეს 400 მან. ნივთები;—გაქურდეს ალექსანდრე კოზალოვის ბინა (ანიევის ქუჩა № 25), საიდანაც წაიღეს 100 მანეთის ხიფთები.

ვისია საფულე?

სისხლის სამართლის მილიციამ აღმოაჩინა დაკარგული საფულე ფულით და საბუთებით, რომლის პატრონი უნდა გამოცხადდეს სისხლის სამართლის მილიციაში (ოთახი № 3) ამხ. ვედევანიშვილთან.

პ ა რ ტ ი უ ლ ი კ ა ლ ე ნ დ ა რ ი

საქ. კ.პ. (ბ) ც.კ. განმანაწილებელი განყოფილება დღეს, დილის 10 საათისათვის, იწვევს შემდეგ ამხანაგებს: ჰიჭიკო კობალაძე (ქალაქის აღმასკომი), ბორიტკოვი (რკ. გზათა დირექცია), ვოიკინი (რკ. გზათა დირექცია), წილოშვილი, გაბეშვილი, გარსევანოვი, ჩანტლაძე (ცეკავშირი), სირაძე (შრომის კომისარიატი, მე-2 ქართული დივიზიის შტაბი—ავჭალაში), გ. ჩიხლაძე (მუშკოოპი), ბურკაძე (პროკურატურა), ფურცხვანიძე (ლენ-რაიკომი), კაკაურიძე, ზენაალოვი (1-ლი რაიკომი) რობაქიძე (გემოკვების მუშაკთა ცენტრ. გამგეობა).

სახელმწიფო ოპერის თეატრი

1930—31 წ. სეზონი

სწარმოებს განცხადებების მიღება ფაბქარხადგილკომების საშუალებით 5, 10 და 15 წარმოდგენიან აბონემენტებზე. მიღება ყოველდღე ხალარო № 3-ში, 11—2 საათამდე და 6—8 საათამდე. ნ. 1284

საზაფხ. ე თ ე რ ი	საზაფხ. ა პ ო ლ ო	უფასო კინო-ეკრანი ფუნიკულიორზე
(საბ. ოპ. ბაღი) I სეანს. დ. 8 ს. 30 წ. II ს. 9 ს. 50 წ., III ს. 11 ს. 10 წ.	(დარბ. ბაღი) I სეანს. დ. 8 ს. 30 წ. II ს. 9 ს. ტ 50 წ. III ს. 11 ს. ტ 10 წ.	I სეანს. დასაწყ. 9 საათზე.
ახალი ამერიკული კომედია **მაიმუნების თეატრი** გროტესკო 7 ნაწილად. მთ. როლში ხიდ ჩაპლინი	ახალი მხატვრული ფილმი **ქ ა ლ ი ს ჰიგიენა**	ეთნოგრაფიული კულტფილმი **ხევსურეთი**

საზაფხული პ ა ლ ა ს ი 1-ლი სეანსის დას. 7 ს. 30 წ.	**„მობრუნება"**	რ. ლიუქს. სახ. კინო (უ. მინიონი) I-ლი სეანსის დას. 7 ს. 30 წ.	**„გაფირი და მარიამი"** თეატრში ვენტილიაციაა.

თბილისის ოლქფინგანის სააუქციონო კამერა

ა. წ. 4 სექტემბერს დილის 10 საათზე

საჯარო ვაჭრობით

გაყიდის შემდეგ უძრავ ქონებას სახელმწიფო დავალიანების ასანაზღაურებლად

1.	სახლი კუთვნილი	ლაბარტყავა არტემ ზურაბის-ძის—მაგისტრალის ქ. № 16—2 ოთ. შეფ.	— 500 მ.
2.	„	მარტიროსოვ პეტროს აბელის-ძის—საბჭ. ქ., № 227—5 ოთ, 1 თაღლა	„ —800 „
3.	„	კულიევ მამედ ალი—სუფსარქ. ქ. № 46—2 ოთახი, 2 სამზარეულო	„ —700 „
4.	„	იუსუფ ალი აბდულ ალი ოღლი ისმაილოვ—სურენოვის შეს. № 1—6 ოთ.	„ 1200 „
5.	„	პირზადოვ კარაპეტ არტემის-ძის—საპნის შეს. № 3—3 ოთახი, 1 სამ.	„ 500 „
6.	„	მნაცაკანოვ ავაქ მნაცაკანის-ძე—ლაზარევის ქ. № 13—4 ნახ. ოთ., 1 სამ.	„ 1200 „
7.	„	კირშუა მუსა ოღლი—ვიფლეემის შეს. № 17—10 ოთახი, 4 სამზარ.	„ 2500 „
8.	„	კობახიძე სპირიდონ გრიგოლის-ძის—შრომის ქ. № 21 4 ოთახი	„ 1000 „
9.	„	იუსუფ ისმაილ ოღლი—სუფსარქისის ქუჩა № 23—23 ოთახი	„ 6000 „
10.	„	ყურაშვილი გიორგი პავლეს-ძე—გორის ქ. № 13—7 ოთახი	„ 1500 „
11.	„	ფარაჯანოვ მიხეილ სოლომონის-ძე—კახეთის ქ. № 52—3 ოთახი	„ 800 „
12.	„	კიკოლაშვილი პავლე სიმონის-ძე—შრომის ქ. № 24—2 ოთახი, 1 სამ.	„ 800 „
13.	„	მიქაელიან პოღოს პოღ.-ძე—საბჭოს ქ. № 90—12 ოთ., 1 სამ., 4 თაღლა	„ 3500 „

საჯარო ვაჭრობა იწარმოებს ხაზინის ქ. № 3 (ყოფილი ხაზინის შენობა). მსურველებს შეუძლიათ წინასწარ დაათვალიერონ შენობები, ყოველივე ცნობებისათვის მიმართეთ სააუქციონო კამერას, ხაზინის ქ. № 3. ნ. 1283

ალმასკომის კომუნალური მეურნეობის საიჯარო საექსპლოატაციო განყოფილება

აცხადებს, რომ

სავაჭრო სამრეწველო სადგომები (დარაბები) საცხოვრებლად არ იცემა,

რის გამო ამ საკითხზე შეწყვეტილია მთხოვნელების მიღება. სავაჭრო სამრეწველო სადგომების (დარაბა) თვითნებობით დამკავებელი, ანდა მისი საიჯარო-საექსპ. განყ. დაუკითხავად სხვა პირზე გადამცემი, სასტიკად დაისჯება თანახმად არსებული კანონებისა.

ალმასკომის საიჯ. საექსპლ. განყოფილება.

3—1 ნ. 1281

ცეკავშირს

სჭირდება თბილისის კულინარიის სკოლისთვის მასწავლებლად

გამოცდილი პრაქტიკი და თეორეტიკი კულინარი.

ხელფასი შეთანხმებით.

პირობების გაგება შეიძლება ცეკავშ. კადრების განყოფილებაში. ამხ. გოგლაძესთან.

ს ა ჭ ი რ ო ა

ტეხნიკოსები—გამომკვლევნი
ნიველირებლები
ტახეომეტრისტები
უფროსი ტეხნიკოსები
ჰიდროტეხნიკოსები

საქალდევა-ძიების საბრუნავთათვის ტრანსკონტორა

მდ. კოდორში ხე-ტყის დაცურების პირობების გამოსაკვლევად.

პირობების გაგება შეიძლება: ა.-კ. ფედერაციის ქუჩა, 1 (თავისუფლების მოედნის კუთხე), ზზიბშენის საპროექტო ბიურო, საღამოს 7 საათიდან 10 საათამდე ინჟ. ზემლიანოისთან, ან წერილობით: სოხუმი, ს.მ.უ.ს-ს, კოდორის ექსპედიცია. ნ. 1280 2—1

ცეკავშირის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ

საჯარო ვაჭრობით

გაიცემა ხანძრისაგან დაზიანებულ შენობის შეკეთება, შტაბის ქ. 6. პირობების გაგება შეიძლება ცეკავშირის ტეხნიკურ ბიუროში. განცხადების შემოტანის უკანასკნელი ვადაა 1 სექტემბერი.

2—1 ნის. გამგეობა.

ქვემოდ ჩამოთვლილი საბუთები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულად

— პურის წიგნ. „ბ"—პავლე ყუფუნიას სახელზე. 4341
— პურის წიგნ.—თამარ ჯვარიძის სახელზე. 4740
— მუშკ. წიგნ. № 66589 - ერასტი გელაშვილის სახელზე. 4741
— პურის წიგნ.—დავით იაგორის-ძე დოლიძის სახელზე. 4738
— კავშ. წიგნ. № 00172748—ვახტანგ ჯავახიშვილის სახელზე. 4726
— მუშკ. წიგნ.—ნინა აბაკელიას სახელზე. 4729
— პურის წიგნ.—ივანე არჩვაძის სახელზე. 4730
— მეტრ. ამონაწ.—შალიკო მჭედლიძის სახელზე. 4731
— მუშკ. წიგნ. № 4938—აკაკი დავითის-ძე მეგრელიშვილის სახ. 4728
— პურის წიგნ.—სოლომონ ზვერიაშვილის სახელზე. 4732
— პურის წიგნ. № 747—ლავრენტი გიორგაძის სახელზე. ნ. 1282
— პურის ტალონი – ბართლომე ჩაჩავას სახელზე. ნ. 1282
— დაზღ. წიგნ., გაცემ. სარეწაო კავშირიდან—ფეოდორა დარჩიას სახელზე. 4725
— მუშკ. წიგნ.—სოფიო ონისიმეს ასული მირიანაშვილის სახ. 4733
— პურის წიგნ.—ოთარ პლატონის-ძე გაჩეჩილაძის სახელზე. 4734
— კოოპერატივ „მეომარის" საწევრო წიგნაკი № 10369—მარიამ ლუპინის სახელზე. 4736
— პურის წიგნაკის ტალ.—გრიგოლ ნოეს-ძე შანავას სახელზე. 4735
— რკინის გზის ბილეთი № 0001446—ვასილ ალექსის ძე ელისაშვილის სახ. 4223
— კოოპერატივის წიგნაკი № 767—პავლე მარკოზის ძე ბარბაქაძის სახ.
— პურის წიგნაკი № 6732—სერგო ფაჟავას სახ. 4223
— სამხედრო აღრიცხვის ბარათი—დათიკო ოსანის ძე ჩხაიძის სახ. 4722
— პროფტეხნიკუმის დამთავრების მოწმობა № 951—დავით საჩინოს ძე ცომაიას სახ. 4722
— პროფკავშირის წიგნაკი № 13544, წითელი ჯვრის და ავიაქიმის წიგნაკი—იოანე ფარნას ძე დანელიას სახ. 4722
— დამხლევე სალაროს წიგნაკი № 1683, სამხედრო წიგნაკი, პარტ სკოლის მოწმობის დუბლიკატი—არქიფო ანტონის ძე გურგენიძის სახ. 4722
— კავშირის წიგნაკი № 3581—სარდიონ დიმიტრის ძე ფხაკაძის სახ.

საქ. სახელმწიფო პოლიტსამმართველოს ზუგდიდის განყოფილების თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ერთგული და საუკეთესო მებრძოლის

ამხ. ჭიჭიკო მხეიძის

უდროოდ გარდაცვალების გამო. ნ. 1288

ზუგდიდის მაზრის მილიციის თანამშრომლები აუწყებენ ამხანაგებს ძვირფასი ამხანაგის, ხობის რაიონის მილიციის უფროსის

ჭიჭიკო მიხას-ძე მხეიძის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა სოფელ კულინიკარში, ზუგდიდის მაზრა, 28 აგვისტოს, 4 საათზე. ნ. 1288

ზუგდიდის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ხობის რაიონის მილიციის უფროსის

ჭიჭიკო მ ხ ე ი ძ ი ს

გარდაცვალების გამო. ნ. 1288

ხობის სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობა და თანამშრომლები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ქ. ზუგდიდში გარდაიცვალა დაუღალავი მუშაკი და შეუდრეკელი მებრძოლი ხობის რაიმილიციის უფროსი

ამხ. ჭიჭიკო მიხეილის-ძე მ ხ ე ი ძ ე

4741

ამხანაგები: ვლადიმერ ზაქარია, საშა უბირია, გიორგი ბერულავა, ხაპუ კედია, ონისიმე ჩიქოვანი, ვანია ჯიქია, ერმილე კვარაცხელია, ელიზბარ სიჭინავა, ბაგრატ სიჭინავა, შალვა ხარჭუა, ცაია კიტია, პილა ჯალაღანია, მიხა წურწუმია, ერმილე ციმინტია, ვარლამ ჩაჩიბაია ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს ძვირფასი ამხანაგის

ჭიჭიკო მ ხ ე ი ძ ი ს

უდროოდ დაკარგვას. ნ. 1288

ამხანაგები: მიშა ჯალაღანია, მამია ცხონდია, საშა საჯაია, აპოლონ ქანტურია, გერონტი კვარაცხელია, ვ. ლოდია ჯაბუა და ალიკო კვარაცხელია ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს ძვირფასი ამხანაგის

ჭიჭიკო მ ხ ე ი ძ ი ს

უდროოდ გარდაცვალებას. ნ. 1288

ხობის რაიაღმასკომის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს მილიციის დაუღალავი მუშაკის და მებრძოლის, ხობის რაიმილიციის უფროსის

ამხ. ჭიჭიკო მ ხ ე ი ძ ი ს

უდროოდ დაკარგვის გამო. დაკრძალვა სოფ. ყულისკარში, ზუგდიდის მაზრა, 28 აგვისტოს. ნ. 1288

ულრმეს მწუხარებაში მყოფნი რძალი გვიტია და ვერა ქმრით ბენიამინ მილორავიშვილებით, ძმისწული ექიმი მარო ქმრით შალვა აბზიანიძე და შვილით გიორგი, ძმისშვილები ნადია, მიშა, ვარდიკონა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობრებს, რომ მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი, პირველია მაზლი, მეორეს ძმა და ცოლის ძმა და დანარჩენების აღმზრდელი ბიძა

ეფრემ მიხეილის-ძე სანადირაძე

დაკრძალვა სოფ. ვანში, ქუთაისის ოლქი, პარასკევს, 29 აგვისტოს 4 საათზე. (დეპ.)

ტეხნიკოსი პეტრე გამყრელიძე მეუღლით აუწყებს ნაცნობ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 23 აგვისტოს გარდაიცვალა დაუვიწყარი სიძე და ამხანაგი ტეხნიკოსი

გაბრიელ გრიგოლის-ძე ძაგანია

დაკრძალვა 28 აგვისტოს, 4 საათზე, სოფელ ნაჯახოვოში, სენაკის მაზრა. ნ. 1289

ღრმა მწუხარებაში მყოფნი ლუბა კონსტანტინეს ასული, ვლადიმერ და დავით კონსტანტინეს-ძენი წკეპლაძეები იუწყებიან, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი დედა

ანასტასია ამირანის ასული წკეპლაძე-ყუბანეიშვილისა

დაკრძალვა ქ. ქუთაისში, გოჭოურას სასაფლაოზე, ხუთშაბათს, 28 აგვისტოს, 5 საათზე, გამოსვენება ბინიდან, ბარათაშვილის ქ. № 80. 2—2 4709

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ვერა, შვილები: გრიგოლი, თამარი, ქეთევანი და სიძე ვლადიმერ ოთარაშვილი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

ესტატე ვასილის-ძე ჩაგანავა

გამოსვენება დღეს, 5-საათზე ბინიდან, ჩერნიშევის მე-2 ჩიხი № 2. დაკრძალვა ავლაბრის სასაფლაოზე, რკინის გზის გაღმა. 4724

გულდათუთქული დედა ტერეზი შვილებით: ალიოშა, შალიკო, ირაკლი და თამარა მეფარიშვილები, დეიდა ოლია შენგელია ახლო ნათესავებით აუწყებენ ნაცნობ-ნათესავთ ახალგაზრდა მიწადმოქმედობის

სერიოჟა (სერგო) ილარიონის-ძე მეფარიშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა ქ. სამტრედიაში, 26 აგვისტოს. ნ. 1290

ივანე გიორგის ძე რატიშვილი აუწყებს ნათესავებს და მეგობრებს, რომ მიმდინარე აგვისტოს 27, დილის 7 საათზე, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მისი მეუღლე

მარიამ სოლომონის ას. რატიშვილისა

სამოქალაქო პანაშვიდი აგვისტოს 28, საღამოს 8 საათზე (ჯორჯაძის ქ. № 2). გამოსვენება დასაკრძალავად აგვისტოს 29, საღამოს 6 საათზე—ვერის ახალ სასაფლაოზე

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: ნინა და ილიკო შვილებით: სილვია, სპარტაკი, ჟულიეტა კოპალეიშვილები, დედის და ელიზა კოხრეიძე აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს მათი უძვირფასესი

პატარა გენრიეტას

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა სამშაბათს, 26 აგვისტოს, სოფელ იანეთში. 4737

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი მშობლები: ქრისტეფორე (გრიშა) და ნინა სამსონიები, ბებია მარო ვეფხვაძე, ბები და საბედო ქეიშვილი იუწყებიან სიცოცხლით აღსავსე პატარა

თამილა (თამილიკო) სამსონიას

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ბორჯომში, 27 აგვისტოს, 4 საათზე. 4737

ტირაჟი—55.413 საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი", კამოს ქ. № 68. მთავლიტი № 904